# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 18 იანვარი 2003 №5 (1776) | ფასი 50 თეთრი


# სიცრუის სალარო

## ეროვნული ჩემპიონატი ჩაწყობის საწყობია



ფეხბურთელებმა თამაში გაყიდეს! – თქვა ბოლნისის „სიონის“ უფროსობამ „ტორპედოსთან“ წაგებულ საშინაო მატჩზე და ამ ნათქვამმა ეგებ დაიწყოს ის პროცესი, რომელიც საქართველოში ჩემპიონატის ჩატარებას აზრიანად აქცევს. როცა მატჩების გვარიან ნაწილს გარიგებულის სუნი უდის, მყიდველ-გამყიდველისთვის რა გითხრათ და, ქომაგისთვის ასეთი ჩემპიონატისთვის თვალის დევნება საინტერესო სულაც არ არის. მაგრამ ისიცაა, რომ ბოლნისელთა განცხადებამ ფეხბურთისადმი დამოკიდებულების საყოველთაო შეცვლა გამოიწვიოს, ბოლომდე რეალურად არ ჩანს.

ამ ფრიად საჩოთირო საქმეში უამრავი კითხვა და ცოტა პასუხია, თუმცა მთავარი პასუხი რახანია, ცნობილია: ქართული ფეხბურთი ბინძური გარიგებების გარეშე ვერავის წარმოუდგენია და არა აქვს მნიშვნელობა, მატჩი მართლაც ჩაწყობილი იყო თუ არა.



ინგლისური უქმეების გამორჩეული შეხლა „მანჩესტერი“ — „ჩელსი“

# ნამდვილი ფეხბურთის გემო

## ფქვილი იქა, ქატო აქა

დიდი ფეხბურთის ხსენებაზე ქომაგი უქმეებზე გასამართ აუარება თამაშში რამდენიმეს გამოარჩევს. ამ შაბათ-კვირის მატჩების სიას თუ გადავხედავთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპაში დიდი ფეხბურთია.

„მანჩესტერი“ მასპინძლობს „ჩელსის“ და „არსენალთან“ ერთად ეს გუნდები იბრძვიან პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის. ხოლო ინტრიგისთვის სხვა მიზეზიც თუ არის საჭირო, დავძინოთ, რომ ლონდონელები „ოლდ ტრეფორდზე“ „იუნაიტედზე“ უკეთ თამაშობენ.

ამ უქმეებზე ნიუკასლში ბრუნდება კევინ კიგანი, ქეცბაიას დროინდელ „კაჭკაჭთა“ მენეჯერი და ჩაჰყავს მოლონიერებული „სიტი“. ეს მატჩი ინგლისის ნაკრებთა ორი ძველი მწვრთნელის დაპირისპირებაც იქნება, „ნიუკასლს“ ხომ ახლა ბობი რობსონი უდგას სათავეში.

ესპანეთში კი ერთ დროს იმავ ბობი რობსონის „ბარსელონა“ „ვალენსიას“ დაუხვდება. და განა ის ფაქტი, რომ „ბარსა“ ახლა ცუდ დღეშია და ცხრილშიც მეტად ქვევითაა, ასეთი შეხვედრის დასაკნინებლად გამოდგება?

დიდი ფეხბურთისთვის ემზადება ამით ისედაც განებივრებული მადრიდი. მაგრამ მადრიდულ დერბის სხვა ხიბლი აქვს, მით უფრო, რომ ასეთი რამ ორი სეზონია, არ ყოფილა. ერთი სიტყვით, „რეალი“ „ატლეტიკოს“ ხვდება.

# როლანდ ერაძე

## ისლანდიის მოქალაქე და მეკარე მსოფლიოს ჩემპიონატზე

ორშაბათს პორტუგალიაში დაიწყება ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შარშანდელ შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული 24 გუნდი ორი კვირის თავზე გამარჯვებულს გამოავლენს.

ჩვენთვის, სახელბურთო ყრუ პროვინციელებად ქცეულთათვის, საინტერესო ის არის, რომ მსოფლიოს პირველობის ვებ-გვერდზე ისლანდიის ნაკრების განაცხადში მეკარე როლანდ ერაძის გვარიც გამოჩნდა. იგი უკვე მესამე წელია, კუნძულზე გადაბარგდა და რეიკიავიკის „ვალურში“ დაიმკვიდრა ადგილი. ეს კლუბი იქაური ჩემპიონატის მუდმივი პრიზიორია და სისტემატურადაც მონაწილეობს ევროთასებზე. როლანდი პირველივე სეზონში საუკეთესო მეკარედ აღიარეს, შარშან კი ქვეყნის საუკეთესო ხელბურთელადაც დაასახელეს.

ერაძის ამბის გასაგებად საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალურ მდივანს თამაზ თევზაძეს შევეხმიანეთ. მან გაიხსენა, რომ ამ ზაფხულს ერაძემ რამდენჯერმე დარეკა ისლანდიიდან. თბილისში ისიც იცოდნენ, რომ როლანდი ისლანდიის მოქალაქეობის მიღებას ცდილობდა. ნოემბრის ბოლოს სანქტ პეტერბურგში გამართულ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე ისლანდიის ხელბურთის თავკაცებს თევზაძისთვის დაბეჯითებით ვერაფერი უთქვამთ, თუმცა არც ის დაუმალავთ, რომ ერაძეს იქაურ ინსტანციებში განცხადება უკვე შეტანილი ჰქონდა. საკითხი დეკემბერში უნდა გადაწყვეტილიყო. ბუნებრივია, ჩქარობდნენ ჩვენებური მეკარეც და ისლანდიის ნაკრების ხელმძღვანელებიც. მათ კარს მომდგარი მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში ერაძის შეყვანა უნდა მოესწროთ. როგორც ჩანს, ისლანდიელებს საქმის „მოკვარახჭინება“ მოუსწრიათ.



მია ახალაძის ფოტო

როლანდ ერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოჯაელის მწვრთნელმა ქართველებს ფოტოგრაფი დაუქირავა

## თურქმა ხოჯამ ფეხბურთელებში ტურისტები იპოვა



გივი დიდავა, გიორგი იმედაძე და რევაზ ქემოკლიძე

**ანთალიაში** თავშეყრილ ქართველებზე მოგახსენებთ. ჯერ „ქოჯაელისფორზე" ვთქვათ. კლუბმა დაახლოებით ერთი მილიონი მოიხელთა და მწვრთნელს, გიუვენჩ ქურთარს ახალი გუნდის შექმნა დაავალეს. გუნდში დაახლოებით 42 ფეხბურთელია. გაცხრილვის შემდეგ 26 დარჩება. ამ 26-ში მოსახვედრად და უკეთესი ხელფას-მომავლისთვის ანთალიის სტადიონებზე გვარიანი ოფლი დაიღვარა.

მესამე საკონტროლო მატჩი „ქოჯაელისფორმა" ბუნდესლიგელ ბოხუმთან გამართა. ხმელთაშუაზღვის პირას ახლა გემრიელად ცხელა. მეტოქეები თავს გაუფრთხილდნენ და ბევრი სირბილით არ გადაღლილან. გერმანელებმა ორივე ტაიმში სხვადასხვა შემადგენლობა ათამაშეს, ხოლო გიუვენჩ ქურთარმა ოდენ თავისი თანამემამულეები გაიმეტა სიცხეში საბურთაოდ. ქართველთაგან (დიდავა, იმედაძე, ქემოკლიძე) არც ერთს უთამაშია. მწვრთნელმა მათი ფეხბურთი უკვე ნახა და როგორც გუშინ, „სარბიელიდან" შეიტყვეთ, საკმაოდაც მოხიბლულა. ამიტომ ჩვენებურებს დასვენებისა და სურათის გადაღების დრო მისცა. ხოლო თურქებით მოთამაშე „ქოჯაელისფორმა" „ბოხუმთან" ვერაფერი გააწყო.

უკვე გადაწყვეტილია, რომ მავანი იტალიელი მეკარე და ორი იქაური ფეხბურთელი გუნდიდან ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად გაუშვეს.

მთავარი მწვრთნელის თქმით, ბულგარელი გეორგიევისა და ქართველი გიორგი იმედაძის დატოვების დიდი შანსია. ცხადია, უშანსოდ არც დიდავა და ქემოკლიძე არიან. „ჯერ კიდევ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გვაქვს გასამართი, თქვა ქურთარმა, ქართველებს დავაკვირდები, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას არ ვიჩქარებ."

გუშინ „ქოჯაელისფორი" რუსულ „ხიმკის" გაეჯიბრა და ქართველებმაც ითამაშეს, ხოლო დღეს ბუნდესლიგელ „არმინიას" იმ შემადგენლობას დააჯახებს, რომლითაც „ბოხუმს" დაუხვდა. ხვალ თურქული გუნდი ჰოლანდიურ „ჰერენვენს" შეხვდება და ამ მატჩების შემდეგ გაირკვევა ქართველთა ბედი.

ანთალიაში არიან სხვა გუნდებიც. „ტრაბზონსფორი" „ეფესის" თასის ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკს" გადაეყარა. მატჩი უგოლო ფრით დასრულდა. ვალერი აბრამიძემ შეუცვლელად ითამაშა და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მიიღო. თერთმეტმეტრიანები იქაურებმა უკეთესად შეასრულეს. ფინალში ერთურთს „ტრაბზონსფორი" და „ფენერბაჰჩე" შეერკინებიან. „ფენერბაჰჩეში" დებიუტი ექნება რუსეთის ნაკრების ფორვარდს, ვლადიმირ ბესჩასტნიხს, რომელსაც ალბათ 30 აპრილს თბილისშიც ვიხილავთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დეკანოსიძემ 22 მეტრიდან იკისრა

**სამეორწრეო** საშხალისშია მეორებუნდესლიგელი „ფიურტი". გიორგი დეკანოსიძის გუნდმა ექვსდღიან ინტერვალში სამი საკონტროლო მატჩი გამართა და ქართველმა ნახევარმცველმაც თავის გამოჩენა შეძლო. დეკანოსიძემ 10 იანვარს „ზანქტ პაულს" გაუტანა ეფექტური გოლი.

„ფიურტის" თავკაცმა ეუგენ ჰახმა „ზანქტ პაულთან" დეკანოსიძე ძირითად შემადგენლობაში ჩააყენა. ქართველმაც არ გააწბილა მწვრთნელი, მისი მეცადინეობით „ფიურტმა" მოედნის ცენტრში გარკვეული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ 22-ე წუთზე დაშვებული ერთადერთი შეცდომა ძვირად დაუჯდა — თოვლიან გაზონზე საშა რიხლერმა ფეხი ვერ მოიკიდა, ბურთი მეტოქეს ჩააბარა და კურმა თავისიანები დააწინაურა. რიხლერმა მალევე გამოასწორა შეცდომა და თავისსავე წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ანგარიში გაათანაბრა, მერე კი დეკანოსიძის ჯერიც დადგა. ქართველმა 42-ე წუთზე მეტოქის კარისკენ დანიშნული ჯარიმის შესრულება ითავა და 22 მეტრიდან ცხრიანში ჩაუსვა წითელი ბურთი ზანქტპაულელ მეკარეს. მეორე ტაიმში ჰახმა ერთბაშად 10 კაცი შეცვალა, დეკანოსიძეს აზუზი ჩაუნაცვლა. ფიურტელებმა მატჩის ბოლოს ერთის გატანაც შეძლეს, ჰილებრონდმა საბოლოო წერტილი შორეული დარტყმით დასვა.

13 იანვარს „ფიურტმა" „ბოხუმთან" გამოსცადა თავი. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. დეკანოსიძე ჰახმა 63-ე წუთზე ჩართო თამაშში აზუზის ნაცვლად. იმ დროისთვის „ბოხუმი" 1:0-ს იგებდა, მაგრამ რაისინგერმა საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე გათანაბრება შეძლო.

1:1 ითამაშა „ფიურტმა" გუშინწინდელ მატჩშიც „კაიზერსლაუტერნთან". ჰახის ბიჭებმა პირველ ტაიმშივე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. დეკანოსიძე მეორე ტაიმიდან რუმანის ნაცვლად ჩაერთო თამაშში.

**პაატა ძვანტალიანი**



საკონტროლო მატჩებში გიორგი დეკანოსიძე (მარცხნივ) თავს არ ირცხვენს

# ჯანაშია მატარებელს ჩამორჩა

**გუშინ** სალომის ლუის ცაკარიასმა 22 რკინიგზელი მატარებელში ჩასვა და ბათუმისკენ მოუსვა: „ლოკომოტივი" თურქულ შეკრებაზე უჯანაშიოდ გაემგზავრა.

ბოლო ინფორმაციით, ზაზა ჯანაშიას იური სიომინის „ლოკომოტივთან" ურთიერთობები საბოლოოდ მოუგვარებია, თავისუფალი აგენტის სტატუსისთვისაც გამოუკრავს ხელი და თბილისში ჩამოსვლა რად შეაგვიანდა, რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელებმა არ იციან.

ანთალიაში ცაკარიასი კიდევ ერთ ყოფილ მოსკოველ რკინიგზელს, ლადო კაკაშვილს ელის, რომელიც გუნდს მოგვიანებით შეუერთდება.

„ლოკომოტივი" თურქეთში ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ოფოში" დაბინავდება, დღეში ორჯერ ივარჯიშებს და ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს.

კლუბის მენეჯერ ლევან ყიფიანის თქმით, უკვე მიღწეულია წინასწარი შეთანხმება უკრაინულ, რუსულ, ბულგარულ და იუგოსლავიურ გუნდებთან. ჯერაც გადასაწყვეტია პერუელების — გალიარდოსა და გონსალესის საკითხი, თანაც ცაკარიასი კიდევ რამდენიმე ლეგიონერის გასინჯვას სამკვირიანი შეკრების დროს აპირებს.

„ლოკომოტივის" საანთალიო შემადგენლობა კი ასეთია:

*მეკარეები: გიორგი ლომაია, მანუჩარ ივარდავა;*

*მცველები: გიორგი ბალაშვილი, სერგო ორბელაძე, ლაშა სალუქვაძე, როინ ონიანი, გაგა ონიანი, აქსენტი გილაური, ზაზა ლაცაბიძე;*

*ნახევარმცველები: დავით ჭიჭველიშვილი, დავით სირაძე, მურთაზ ბურნაძე, ირაკლი მორჩილაძე, გივი კვარაცხელია, ვლადიმერ კობახიძე, ბესიკ ვლასოვი, დავით სოსელია, გიორგი ჯღარკავა;*

*თავდამსხმელები: მამუკა რუსია, ალეკო კიდარაშვილი, გიორგი გოგინაშვილი, მუშკუდიანი.*

**მამუკა ძვანტალიანი**



ვიტალი დარასელია

# ექვსი და ექსპერიმენტი

## შუშაქმა და დარასელიამ საგნებს გადახედეს

**გუშინ** თბილისის „დინამომ" კვიპროსული შეკრების პირველი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ჩვენებურთა მეტოქე რუსეთის პირველდივიზიონელი ხაბაროვსკის სკა-ენერგია გახლდათ და შეხვედრა 1:1 დამთავრდა.

ივო შუშაკმა თავისი ტრადიციული 3-5-2 სქემა 4-4-2-ით შეცვალა. ათგზის ჩემპიონმა ტაიმები სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშა. პირველ 45 წუთში „დინამოს" თერთმეტეული ასეთი გახლდათ: *ზოიძე; ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია; ბურდული, გოგობერიშვილი, დარასელია, ანჩაბაძე; ალექსიძე, ახალაია.* შესვენების შემდეგ კი შუშაკმა ესენი შეუშვა მოედანზე: *გვარამაძე; მანწკავა, კანდელაკი, კაშაკიძე, სხვაძე; სამხარაძე, მაზიაშვილი, მანჩხავა, იაშვილი; ბობოხიძე, მიქაძე.*

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვიტალი დარასელიამ 9 ნომრიანი მაისურა, რომელსაც „დინამოში" ჩარიცხვის შემდეგ არავის უთმობდა, არჩილ სახვაძეს გადაულოცა — ანუ უფროსი ვიტალის ნომერი დაიბევა, თუმც ჯერაც გაურკვეველია, უმცროსი დარასელია აწი სულ მამამისისეული ნომრით ითამაშებს თუ არა.

შეხვედრაში პირველი გოლი დინამოელებმა გაიტანეს — კვირკველიამ აუტი მოაწოდა, ბურთს მეტოქის საჯარიმოში მარცხენა ნახევარმცველად მოთამაშე დარასელია დაეუფლა და ლადო ახალაიას საგოლედ უპასა.

რუსებმა 72-ე წუთზე გაათანაბრეს — მათი დარტყმული საჯარიმო ცოცხალ კედელს მოხვდა, დამატებაზე კი მიწიდან არეკნილი ბურთი ხაბაროვსკელმა ოლეგ შევჩენკომ მოათავსა დავით გვარამაძის კარის ცხრიანში.

ისიც სათქმელია, რომ მატჩამდე „დინამომ" დილით ივარჯიშა და შუშაკი ნამატჩევს კმაყოფილი ყოფილა — მიუხედავად დიდი დატვირთვებისა, ჩემმა ბიჭებმა კარგად ითამაშესო. ხორვატმა დამრიგებელმა განსაკუთრებით პირველი ტაიმის თერთმეტეული შეაქო.

რაც შეეხება კარლოს ალბერტო და როჩას, ის ჯერ ინდივიდუალურად ვარჯიშობს, რათა სეზონის განახლებისთვის მასზე ადრე მზადებადაწყებულ თანაგუნდელებს თანდათან წამოეწიოს.

**დავით თავართქილაძე**

# დევიძე და კოშკაძე სიონს ფურცლებით მიადგნენ

**სანამ** ბოლნისური კლუბის თავკაცები „ტორპედოსთან" საშინაო მატჩში დამარცხების მიზეზებს და „მოღალატე" ფეხბურთელთა ვინაობას იკვლევენ, „სიონი" ისვენებს.

ზამთრის არდადეგები 27 იანვარს დასრულდება და ბოლნისელებიც მზადებას პირდაპირ ორკვირიანი თბილისური შეკრებით დაიწყებენ. კიდევ ერთი ორკვირიანი შეკრება და ისიც საქართველოში, უშუალოდ ჩემპიონატის განახლებამდე არის დაგეგმილი. საღღეისოდ კი თემურ მახარაძის შეგირდები ინდივიდუალურად ვარჯიშობენ.

ბოლო ორი დღის მანძილზე აგორებული „სკანდალის" შემდეგ გიორგი ქორიძე, ბუნებრივია, ბოლნისისკენ პირს აღარ იზამს, კლუბმაც მარშანვე დაითხოვა ეჭვმიტანილი ფორვარდი. ქორიძესთან ერთად „სიონი" ნუკრი მინდიაშვილმა, დავით ხუჭუამ და ზვიად კრავეიშვილმა დატოვეს.

რაც შეეხება ახალწვეულებს, გუნდში დაბრუნდა ნახევარმცველი ბესიკ შენგელია, რომელსაც მწვრთნელ თემურ მახარაძესთან კონფლიქტი ჰქონდა, თუმც საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

„სიონმა" ორი ყოფილი მერანელიც გადაიბირა. დღეიდან ბოლნისელთა სრულუფლებიანი წევრები არიან მცველი იოსებ დევიძე და ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე. ცოტა ხნის წინ ამათ ლამის ნახევარი ავჭალა დაეძებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძველ კლუბთან ყველა საკითხი გარკვეულია, რადგან დევიძეც და კოშკაძეც ბოლნისში განთავისუფლების ფურცლებით ხელდამშვენებულები ჩავიდნენ.

**მამუკა ძვანტალიანი**

### ინგლისი
I დივიზიონი. XXIX ტური
შეფილდი 3:1 უენსდი

### პორტუგალია
I ლიგა. XVIII ტური
გიმარაეში 1:2 ლეირია

### იტალია
სერია B. XIX ტური
სამპდორია 4:0 ვენეცია

### ბელგია
I დივიზიონი. XVIII ტური
მუსკრონი 0:1 სტანდარდი

# ბოლნისური პენალტის ამბავი




*საფეხბურთო კლუბ „სიონის" გუშინწინდელმა განცხადებამ კიდევ ერთხელ წამოატივტივა ქართულ ფეხბურთში ჩაწყობილ-გარიგებული მატჩების თემა.*

*„სიონი" გუნდის ყოფილ შემტევ გიორგი ქორიძეს „ტორპედოსთან" მატჩში პენალტის შეგნებულად გაცუდებაში ადანაშაულებს. გუშინდელ „სარბიელში" ამასთან დაკავშირებით თავად ქორიძის ინტერვიუც შემოგთავაზეთ. ქორიძე კატეგორიულად უარყოფს „სიონის" ბრალდებას. მის წისქვილზე ასხამს წყალს „ტორპედოს" მეკარე გრიგოლ ჭანტურიაც, რომელიც მომხდარს მხოლოდ თავისი მარიფათით ხსნის, მაგრამ „სიონის" წარმომადგენლები კვლავაც მტკიცედ დგანან თავიანთ პოზიციაზე და ფეხბურთელის სამაგალითოდ დასჯას მოითხოვენ. ბუნებრივია, საინტერესოა ფედერაციის პოზიციაც, რადგან საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ კლუბსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობის მოგვარების ფარგლებს გასცდა. ამ სკანდალში სხვა მნიშვნელოვანი დეტალებიცაა, რომლებსაც სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტთანაც მივყავართ*

## მილჩენკო მალაღურაძეს დაელაპარაკება

**კიდევ** ერთხელ გავიხსენოთ „სიონი" — „ტორპედოს" მატჩის ბოლო წუთზე მომხდარი ეპიზოდი: მერაბ მალაღურაძემ პენალტის დარტყმის ნიშანი მისცა. ქორიძე დაიძრა და ჭანტურიას გახედა, რომელმაც ხელით ანიშნა, მოიცადეო. დამრტყმელი დაიბნა, მსაჯს გახედა, მალაღურაძეს მომხდარზე რეაქცია არ ჰქონია. მერე კი ქორიძეს ფეხი დაუსხლტა და ბურთი კარს ააცილა. ასეთ ვითარებაში ერთობ საეჭვოა მალაღურაძის მოქმედება (უმოქმედობა). აი, რა წერია ამგვარ სიტუაციაზე სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის თავკაც ფიფას არბიტრ ანატოლი მილჩენკოს წიგნში, რომელიც ფიფა-უეფასეულ სამსაჯო და ზოგადსაფეხბურთო წესებითაა შექმნილი.

*„როგორ უნდა მოიქცეს მსაჯი, თუ მოთამაშემ დაძახებით მოატყუა მეტოქე?*

*— გააფრთხილოს არასპორტული საქციელისთვის და დანიშნოს თავისუფალი დარტყმა.*

*— როგორ უნდა მოიქცეს მსაჯი, თუ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის შესრულების დროს მოთამაშეები დაიწყებენ ხტუნვას ან ხელების ქნევას, რათა გაფანტონ მეტოქის ყურადღება?*

*— არადისციპლინირებული ყოფაქცევისთვის მიეცეს გაფრთხილება და ბურთი თამაშში შეიყვანოს ადრე დანიშნული დარტყმით".*

ამ წესების გათვალისწინებით საეჭვოა მალაღურაძის გადაწყვეტილება. ორი ვარიანტია. გამოცდილმა არბიტრმა ან ვერ შენიშნა ჭანტურიას ონავრობა, ან ყოველივე დააფიქსირა და ასეთ შემთხვევაში, სულო ცოდვილო, ისევ გარიგება-ჩაწყობის სუნი გვცემს. მერაბ მალაღურაძე გუშინ დილით მოსკოვს გაემგზავრა თანამეგობრობის თასის მატჩების განსასჯელად, თუმც ინტერესმოკლებული არც მისი შეფის, ანატოლი მილჩენკოს კომენტარი უნდა იყოს.

— ბოლნისელთა განცხადების შესახებ თქვენი გაზეთის საშუალებით შევიტყვე და არ მინდა, ნაჩქარევი კომენტარი გავაკეთო. თანაც მალაღურაძესთანაც არ მისაუბრია ამასთან დაკავშირებით. იქნებ ფეხბურთელები არიან შეთანხმებულნი და ქორიძის გადასარჩენად ჭანტურიამ ამიტომ გააკეთა ასეთი განცხადება. სინამდვილეში ხომ არ ვიცით, რა მოხდა. მით უფრო, რომ მატჩის ვიდეოფირიც არ მინახავს. ამიტომ მომხდარის საფუძვლიან გარკვევამდე ვერავის დავადანაშაულებ, მით უმეტეს, არბიტრს. შეიძლება ჭანტურიას საერთოდ არ დაუწყია ხელების მოძრაობა, ან მერაბს გამორჩა. ამიტომ მსაჯის შეცდომაზე საუბარი უსაფუძვლოა.

— ამ ეპიზოდს ფეხბურთელთა გარდა სხვაც ბევრი ჰყავდა თვითმხილველი და ბევრი საუბრობს ჭანტურიას არასპორტულ მოქმედებაზე, თავად ფეხბურთელის ჩათვლით. საინტერესოა, თქვენ რომ ყოფილიყავით მალაღურაძის ადგილზე და ჭანტურიას მოქმედება შეგენიშნათ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით?

— მოვიქცეოდი წესის შესაბამისად. გოლი თუ გავიდოდა, ჩავთვლიდი, თუ არადა, მეკარეს გავაფრთხილებდი და ფეხბურთელს თავიდან შევასრულებინებდი დარტყმას.



**პაატა ძვანტალიანი**

## ზურაბ ჯაფარიძე: ბოლნისელებმა ლამის მიტინგი მომიწყვეს



**სფფ-ის** ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ ჩვენთან გუშინწინდელ საუბარში გაიკვირვა, აქამდე რატომ არ აიმაღლა „სიონმა" ხმა, მატჩი ხომ 8 დეკემბერს გაიმართაო, მაგრამ როგორც „სიონის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ გვითხრა, მან მატჩის დამთავრებისთანავე დაითხოვა ქორიძე გუნდიდან, შემდეგ კი ვითარება ბოლნისელმა გულშემატკივრებმაც გაამწვავეს.

— „სიონის" ქომაგებმა გამგეობის წინ ლამის მიტინგი მოაწყვეს. ისინი ქორიძისა და მსგავს საქციელში შემჩნეული სხვა ფეხბურთელების სამაგალითოდ დასჯას ითხოვენ, ეს ხალხი სამართლიანად არის აღელვებული — გვითხრა გუშინდელი საუბრისას ზურაბ ჯაფარიძემ.

**— სხვა ფეხბურთელები ახსენეთ. ვინ არიან ისინი?**

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტია, გუნდში რაღაც ხდება და ქორიძის საქციელი ამის ნათელი მაგალითია. ბოლნისელი გულშემატკივარი და წვალებით შექმნილ-მოვლილი „სიონი" ამას არ იმსახურებს და თვალს ვერ დავხუჭავთ.

**— ქომაგების დაშოშმინება შეძელით?**

— დამნაშავეებს ფიზიკურად გავუსწორდებითო, ამბობენ. რა თქმა უნდა, ასეთი გზით პრობლემის გადაწყვეტა შეცდომაა, მაგრამ ფაქტია, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ასეთი საქციელი დაუსჯელი არ დარჩეს და სამომავლოდ არ განმეორდეს. ამიტომაც მოვითხოვეთ ქორიძის მკაცრად დასჯა.

## თემურ მახარაძე: ქორიძეს დავუძახე, რომ არ დაერტყა

გუშინ „სიონის" მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძესაც დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.

**— გიორგი ქორიძის თქმით, „ტორპედოს" მიერ „სიონის" კარში გატანილი გოლისთანავე თქვენ სათადარიგოთა სკამი დატოვეთ და გასახდელს მიაშურეთ. ასე იყო?**

— დიახ. სტუმრებმა გოლი ბოლო წუთებზე გაგვიტანეს და მე მოედანი დავტოვე.

**— მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ პენალტის დროს გაიძახოდით, ქორიძემ არ დაარტყასო. ამაზე რას იტყვით?**

— მართალია. როცა „ტორპედოს" კარში პენალტი დაინიშნა, უკან მოვბრუნდი და გიორგის დავუძახე, არ დაერტყა. სამწუხაროდ, ვერ გავაგონე. სტადიონზე ისეთი აურზაური იყო, ხმა ვერ მივაწვდინე.

**— და რატომ არ გინდოდათ, რომ ქორიძეს დაერტყა პენალტი?**

— უბრალოდ, ის არასოდეს ასრულებდა „სიონში" თერთმეტმეტრიანს. ქორიძე გუნდის პენალტისტი არ არის.

**— საერთოდ, რას ფიქრობთ ამ ამბის შესახებ?**

— რა უნდა ვთქვა ასეთ სიბინძურეზე. თამაშების ყიდვა-გაყიდვა საერთოდ ისეთი თემაა, რომ რაიმეს მტკიცება ძალიან ძნელია. ვინმეს ხელს ვერც მე დავადებ. ეს ჩემი მხრიდან სწორი ნაბიჯი არ იქნება. მაგრამ ერთს კი გეტყვით: ყველამ საკუთარ სინდისთან აგოს პასუხი.

**ძაბა შალამბერიძე**

*იური გაბისკირია, ბოლნისელთაგან ყველაზე გამოცდილი და მრავლისმნახველი ვეტერანი, „სიონ" – „ტორპედოს" მატჩის ბოლო წამებზე პენალტის შესასრულებლად არ გაქაჩულა. რატომ იუარა გაბისკირიამ საკუთარ თავზე აეღო მეტად საპასუხისმგებლო მისია, რად დაანება თერთმეტმეტრიანის დარტყმა გაცილებით გამოუცდელ თანაგუნდელს?*

## იური გაბისკირია და ლევან შავგულიძე: ქორიძე ჭანტურიამ შეაცდინა

— „სიონში" პენალტს თავიდანვე მე ვურტყამდი, მაგრამ ერთხელაც რუსთავის „გორდასთან" მატჩში ვერ გავიტანე და მას შემდეგ დავით გოდერძიშვილი ასრულებდა თერთმეტმეტრიანებს.

**— როცა მალაღურაძემ საპენალტედ სათქვენოდ ჩასტვინა, ბურთთან მისვლა გულშიც არ გაგივლია?**

— იმ წუთს ყველანი დაბნეულები ვჩანდით. ქუთაისელები მსაჯს ეკამათებოდნენ, თანაგუნდელებიდან სამი-ოთხი კი ბჭობდა, ვის შეესრულებინა საბოლოო დარტყმა, მაგრამ ამ დროს ქორიძემ ბურთი საპენალტოდ გაასწორა და ხელი არ შემიშლია. ფეხბურთელმა გადაწყვეტილება მიიღო, ისედაც დაძაბულობამ პიკს უწია და ხელის შეშლა არ შეიძლებოდა. სიმართლე გითხრათ, პენალტის დასარტყმელად გულსაც არ გაუწევია. რუსთავთან თამაშიც კარგად მახსოვდა და თავიც შევიკავე.

**— როგორ ატყობდი, ქორიძე საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ ფეხბურთელს ჰგავდა?**

— გიორგიმ ბურთი თამამად გაასწორა, არც აღელვება ემჩნეოდა. ის ჭანტურიამ შეაცდინა. ქუთაისელთა მეკარემ ოსტატური მახე დააგო, ფეხმოქნეულ ქორიძეს მოიცადეო, დაუძახა. გიორგი შედრკა, მერე ფეხიც დაუცდა და ბურთიც მიზანს აცილა.

**— ამბობენ, მწვრთნელიც და თანაგუნდელებიც ქორიძეს პენალტის დარტყმას უშლიდნენო...**

— როცა მოთამაშე ბურთს დასარტყმელად გაასწორებს, მასთან არავინ მივა და არ ეტყვის, შენ არა, მე ვიკისრებ მაგ საქმის შესრულებასო. ეს ფეხბურთის დაუწერელი კანონია, მე ქორიძის შორიახლო ვიდექი და არ გამიგია, მისთვის ვინმეს დარტყმა დაეშალოს.

*მას შემდეგ, რაც ლევან შავგულიძეს ახალი ამპლუა გამოუძებნეს და თემურ მახარაძემ მოედნის შუაგულში გაამწესა, „სიონში" ყველა სტანდარტულ მდგომარეობას ის და გაბისკირია ათამაშებდნენ. „ტორპედოსთან" მატჩში პენალტის დასარტყმელად არც ლევანი დაძრულა.*

— ფოთის „კოლხეთში" თამაშისას ზედიზედ სამი პენალტი გავაფუჭე. უფრო სწორად, დარტყმული მეკარეებმა უკუაგდეს, მაგრამ დამატებაზე გოლი მაინც გაგვქონდა. მას შემდეგ თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე ბურთი არ გამისწორებია.

— იმ „საბედისწერო" მომენტში რა გაიფიქრე და მოიმოქმედე?

— საკუთარი თავის იმედი რომ აღარ მქონდა, სტუმართა საჯარიმოს გავეცალე და იური გაბისკირიასკენ გავეშურე. მიდი, იური, დაარტყი-მეთქი, ვუთხარი ყველაზე გამოცდილ თანაგუნდელს. გაბისკირიამ, ერთხელ უკვე გამიცუდდა თერთმეტმეტრიანიო და ბურთთან მისვლა იუარა. გიორგიმ რომ ნახა, თავს ვიკავებდით, ბურთი თავად გაასწორა, მაგრამ ჭანტურიას ხრიკს წამოეგო, ფეხიც დაუსხლტა და...

**მამუკა ძვანტალიანი**



ლევან შავგულიძე

*ვალერი ჩოლარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი:*

— ბოლნისის „სიონის" განცხადებასთან დაკავშირებით ფედერაცია ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს იტყვის. აღნიშნული მატჩიდან თვეზე მეტია გასული და ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის ბოლნისელებს არ მოუმართავთ. რაც ვიცით, მხოლოდ პრესის საშუალებით. ისე კი, ვეთანხმები თბილისის „ვიტ ჯორჯიას" გენერალურ დირექტორ მალხაზ კაკაურიძეს — „სიონს" ფეხბურთელის დასჯა თუ სურდა, ამას იქამდე მოახერხებდა, ვიდრე ქორიძეს განათხოვრების ვადა დაუმთავრდებოდა. ბოლნისელებმა აგვიხსნან საქმის ვითარება და ბუნებრივია, ამის შემდეგ ფედერაცია თავის პოზიციას დააფიქსირებს.



გიო ჭყონიანის

## სვეტი

### აცილებული პენალტი და ბრაზილია

ბრაზილია ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონია. მას ჰყავს რონალდო, რივალდო, რობერტო კარლოსი და სხვები. ხოლო ვინ ჰყავდა, აღარ ჩამოვთვლით. ბრაზილიაში ახლაღა ლაპარაკობენ ევროპული ყაიდის ჩემპიონატის გამართვაზე. იქ შიდა ჩემპიონატი იმგვარია, რომ ხშირად მწვრთნელები მუშტებით სცემენ პოლიციელებს, ფეხბურთელები კი წინდაწინ აცხადებენ, დღეს ესა და ეს თავდამსხმელი უნდა დავამტვრიოო.

იქ ფეხბურთელები ასევე აცხადებენ ხოლმე რახან დღეს ჩემს ყოფილ გუნდს ვეთამაშები, გოლი რომც გავიტანო, არ გამეხარდება, მეტიც, თუ ღილიხორი მექნა, ეგებ საერთოდაც ავაცილო კარსო. ბრაზილიაში მოედანზეც ჩხუბობენ და მის გარეთაც, ზოგჯერ თამაში შვიდი-შვიდზე სრულდება, ან საერთოდ ვერ სრულდება. იქ როცა ლიგიდან გუნდი ვარდება, ის გუნდი შეიძლება კვლავ დააბრუნონ ლიგაში, თანაც, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უბრალოდ — იმიტომ, რომ ეს გუნდი ძველ და სახელიან კლუბს ეკუთვნის. ზოგიერთ ბრაზილიურ ტურნირში მომხდარა ისე, რომ გუნდს ჩემპიონობისთვის წაგება აწყობდა და არა მოგება. ბრაზილიაში ისიც ხდება, რომ ფეხბურთელი ერთ გუნდში სხვა სახელით თამაშობს, მეორეში კი სხვა სახელით, თითქოს სხვა ვინმე იყოს. იქ შეიძლება მთელ თვეს გამოგყავდეს მოედანზე მოთამაშე, რომელიც საერთოდ არ იყოს შენს გუნდში და ამის შესახებ ერთი წლის შემდეგ შეიტყონ. იმ დალოცვილისავე მიწაზე შესაძლებელია მსაჯი კარატისტი იყოს და ფეხბურთელებს წიხლებით დაერიოს, ხოლო მასპინძელი ქალაქის პოლიციას და გულშემატკივრებს შეუძლიათ ერთად დაასიონ მოწინააღმდეგე გუნდს.

ბრაზილიაში ისიც კი შეიძლება, რომ თანაგუნდელების თამაშით უკმაყოფილო ფეხბურთელმა მაისური გადაიძროს, მოედანზე დააგდოს და გასახდელისკენ წავიდეს. იქ შეიძლება კარის ძელი გატყდეს და თამაში ვეღარ გაგრძელდეს, ანდა მოედანი განგებ დატბორონ, რათა თამაში ჩაიშალოს.

ეს ყველაფერი ხდება ბრაზილიაში, სადაც საკლუბო მწვრთნელებს კვირაში ერთხელ ცვლიან, ხოლო მწვრთნელები მიიპარებიან ერთი გუნდიდან მეორეში, ფეხბურთელებმა ეგებ თვეობითაც ვერ აიღონ ხელფასი, გასახდელებში კი მუშტი-კრივი გახურდეს, რასაც პირდაპირ ეთერში გადასცემს ტელევიზია.

ამის მიუხედავად, ბრაზილია ხუთგზის ჩემპიონია ფეხბურთში, ხოლო ბრაზილიელი ფეხბურთელები საუკეთესონი არიან მსოფლიოში.

ამ კვირაში კი გამოილვიძა თვენახევრისწინანდელმა ამბავმა — ბოლნისის „სიონის" მოთამაშემ გიორგი ქორიძემ ქუთაისელთა კარში დანიშნული პენალტი განგებ ააცილა და ამით თავის გუნდს წააგებინაო. ამას თავად ბოლნისელთა უფროსობა აცხადებს მას შემდეგ, რაც „ვიტ ჯორჯიასგან" ნაქირავები ქორიძე უკვე აღარ არის მათი ფეხბურთელი. თავად ქორიძე ამბობს, ტლაპოში ფეხი დამიცდაო. თუ კლუბს ვერწმუნებით, მაშინ ქორიძე ნაღდად უშიშარი კაცი ყოფილა, რადგან სიფიცხით განთქმული ბოლნისელი ქომაგების წინაშე თავისი გუნდისთვის წაუგებინებია. ის გულთმისანიც ყოფილა, რადგან შეცვლაზე შესულს სცოდნია, რომ ბოლო წუთზე მოწინააღმდეგეს პენალტს დაუნიშნავდნენ და მისი ყველა თანაგუნდელი უარს იტყოდა ამ პენალტის დარტყმაზე.

ნამდვილად ბრაზილიური ისტორიაა, რა არის, რომ ვერა ვართ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონები. თან, ისიც ირკვევა, რომ მოწესრიგებულობა სულაც არ ნიშნავს, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონობას.

ინგლისი

ირაკლი ნინიძე

# საუთჰემპტონი ბიტია თოფი და სიყვარული

**XXIV ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| საუთჰემპტონი | — | ლივერპული |
| ასტონ ვილა | — | ტოტენჰემი |
| ბლექბერნი | — | ბირმინგემი |
| ჩარლტონი | — | ბოლტონი |
| ევერტონი | — | სანდერლენდი |
| ლიდსი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| მანჩესტერი | — | ჩელსი |
| ნიუკასლი | — | მანჩესტერ სიტი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | — | ვესტ ჰემი |
| ფულემი | — | მიდლსბრო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 23 | 15 | 4 | 4 | 49:24 | 49 |
| მანჩესტერი | 23 | 13 | 5 | 5 | 38:23 | 44 |
| ჩელსი | 22 | 11 | 8 | 3 | 40:19 | 41 |
| ნიუკასლი | 22 | 12 | 3 | 7 | 37:31 | 39 |
| საუთჰემპტონი | 23 | 9 | 9 | 5 | 27:22 | 36 |
| ევერტონი | 23 | 10 | 6 | 7 | 28:28 | 36 |
| ლივერპული | 23 | 9 | 8 | 6 | 31:23 | 35 |
| ტოტენჰემი | 23 | 10 | 5 | 8 | 34:34 | 35 |
| სიტი | 23 | 10 | 4 | 9 | 32:32 | 34 |
| ბლექბერნი | 23 | 8 | 9 | 6 | 29:25 | 33 |
| მიდლსბრო | 23 | 8 | 6 | 9 | 27:23 | 30 |
| ასტონ ვილა | 23 | 8 | 5 | 10 | 22:24 | 29 |
| ჩარლტონი | 22 | 8 | 5 | 9 | 25:29 | 29 |
| ლიდსი | 22 | 8 | 3 | 11 | 29:29 | 27 |
| ბირმინგემი | 23 | 6 | 7 | 10 | 19:31 | 25 |
| ფულემი | 22 | 6 | 6 | 10 | 23:27 | 24 |
| ბოლტონი | 22 | 4 | 8 | 10 | 23:37 | 20 |
| სანდერლენდი | 23 | 4 | 7 | 12 | 15:32 | 19 |
| ვესტ ჰემი | 22 | 3 | 8 | 11 | 23:40 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:35 | 16 |

**ტურის** მთავარი მატჩი რომ „მანჩესტერი" — „ჩელსია", განა რა მტკიცება უნდა, მაგრამ თქვენი ნებართვით, ამ მატჩზე ცალკე მოგახსენებთ. აქ კი სხვა მატჩებისწინა ამბები ვთქვათ.

ლიდერი „არსენალი" გავარდნის პირას მყოფ „ვესტ ჰემს" მასპინძლობს და თითქოს უხერხულიცაა, „მეთოფე" პატრიკ ვიეირას ტრავმაზე ლაპარაკი — ვენგერის გუნდს რა ღმერთი უნდა გაუწყრეს, „ჩაქუჩთა" ძლევა ვიეირას გარეშე რომ ვერ მოახერხოს. მით უმეტეს, „არსენალს" დაუბრუნდა რეი პარლოუ, ხოლო „ვესტ ჰემს" კვლავ არ ეყოლება პაოლო დი კანიო და ფრედერიკ კანო. ამბობენ, მათ მომჯობინებას ერთი კვირაც სჭირდებაო. და თუ „ვესტ ჰემის" სასარგებლოდ რამის თქმა მაინც გვსურს, ბექემის დის შეყვარებული, ჯერმენ დეფოს ბრწყინვალე თამაში უნდა ვახსენოთ, რომელმაც ბოლო სამ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა.

კევინ კიგანი კი ნიუკასლში ბრუნდება, ქალაქში, სადაც საუკეთესო სამწვრთნელო მიღწევები ჰქონდა. ამავე სეზონში, როცა „სიტი" ნიუკასლში სათასო მატჩისთვის ჩავიდა, იქაურები კიგანს თბილად შეხვდნენ და ამ ჯერზეც ასე უნდა იყოს. სხვა მხრივ, ეს მატჩი ინგლისის ნაკრების ორი ყოფილი დამრიგებლის შერკინებაც იქნება და ცხრილის ზედა ნაწილში მობინადრე გუნდებისაც. ისიც სათქმელია, რომ დეკემბრის ბოლოდან სიტელებმა 12 შესაძლებლობიდან 10 ქულა მოიხვეჭეს და დიდ გულზე არიან.

მეხუთე ადგილზე სენსაციურად ალზევებული „საუთჰემპტონი" ლიდერობიდან სენსაციურად დაქვეითებულ „ლივერპულს" დაუხვდება, რომელსაც აგერ უკვე 11 ტურია, გამარჯვების გემო არ გაუსინჯავს. სამხრეთელ ქომაგთა მზერა კი კვლავაც მათი მეგოლე ჯეიმს ბიტისკენ იქნება მიპყრობილი, რომლის 15 მატჩში გატანილმა თექვსმეტმა გოლმა ეგებ ნაკრებისკენაც გაუკვალოს გზა. სტუმრებს დააკლდებათ სენეგალელი სალიფ დიაო, რომელმაც წითელ ბარათს გამოჰკრა ხელი „ნიუკასლთან" მატჩისას, ხოლო ყმაწვილი ნილ მელორი ეგებ მაიკლ ოუენს შეუწყვილდეს თავდასხმაში ემილ ჰესკის ნაცვლად.

„ევერტონი" შოკური მდგომარეობიდან თავის დაღწევას ლამობს. ასოციაციის თასზე „შრიუსბერისთან" სენსაციური მარცხის მერე ლივერპულელები „ტოტენჰემთანაც" დამარცხდნენ. სადღეისოდ კი გუნდში ასეთი ვითარებაა: ფორვარდი კევინ კემპბელი კოჭის მორჩენას ელის, მეკარე რიჩარდ რაიტის მოედანზე ყოფნა-არყოფნის საკითხი ბოლო წამს გადაწყდება — მას მუხლი სტკივა, ხოლო ყმაწვილი ფენომენი უეინ რუნი ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის და ეს მატჩი მეორე იქნება.

„ევერტონის" მეტოქე „სანდერლენდს" თავისი გაჭირვება აქვს. გუნდს დეკემბრის შუა რიცხვების მერე პრემიერლიგური მატჩი არ მოუგია და გასავარდნ ზონაშია. ერთი ეგაა, შუა კვირაში თასზე „ბოლტონის" დამარცხებამ ჰოვარდ უილკინსონს იმედი ჩაუსახა, ხოლო იმ შეხვედრაში ულამაზესი გოლის გამტან არგენტინელ ნახევარმცველ ხულიო არსას სასტარტო შემადგენლობაში ყოფნის შანსი გაუჩინა.

ერთ ხანს საზიზღრად მოთამაშე „ლიდს იუნაიტედმა", სანამ წინა უქმეებზე „მანჩესტერ სიტისთან" წააგებდა, ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო და ისევ გამარჯვების სერზე შედგომას ფიქრობს. რატომაც არა, მეტოქედ ვიღაც ბობოლა კი არა, ბოლოადგილოსანი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" ჰყავს. ვესტბრომვიჩელები ალბათ საქმეში გამოცდიან იჯარით აყვანილ ნიგერიელ მცველ იდეანი უდეზეს, „ლიდსიდან" „სიტისკენ" მიმავალ რობი ფაულერის უცნაურ თავგადასავალზე კი ცალკე მოგითხრობთ.

გრემ ტეილორის „ასტონ ვილამ" ბოლო სამ მატჩში შვიდი ქულა აიღო, რაც უპირველესად დიონ დაბლინის კარგი თამაშის წყალობით მოახერხა. ფორვარდი უკვე ზედიზედ ოთხი მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს.

„ვილა პარკის" სტუმარი „ტოტენჰემია", რომელმაც წინა უქმეებზე შვიდგოლიან თრილერში დასცა „ევერტონი" — 4:3. მაგრამ ისიცაა, რომ ლონდონელები სტუმრად მეტად უხეიროდ თამაშობენ, რისი დასტურიც 12 საგარეო მატჩში ნაწნევი შვიდი მარცხია. ეს ამბავი გლენ ჰოდლს თავსატეხს უჩენს, მით უფრო, რომ კრისტიან ციგე კვლავაც მკურნალობს, თუმცა დენ რიჩარდსმა ეგებ თამაში შეძლოს.



ჯეიმს ბიტი

„ჩარლტონი" „ბოლტონს" ხვდება და იმის გათვალისწინებით, რომ ნოემბრის მერე დაუმარცხებელია, მას ფავორიტად აქცევს, რომ ალარაფერი ვთქვათ, „ბოლტონის" საზიზღარ თამაშზე. აქ იკითხავთ, კი მაგრამ „ჩარლტონმა" ხომ ბოლო ტურში „ჩელსისთან" წააგოო. სამართლიანი შენიშვნაა, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ ატლეტიკელები „სტემფორდ ბრიჯზე" ფაქტობრივად მოტყუებით, ქვიშაზე ათამაშეს და, შესაძლოა, იმ მატჩის გადათამაშება დაინიშნოს.

## მანჩესტერი VS ჩელსი

# დიდი ჩელსობა ოლდ ტრეფორდზე



„ჩელსისთან" ბოლო მარცხმა ალექს ფერგიუსონს თავში ხელი წააშენინა

მაშ ასე, დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" „ჩელსის" მასპინძლობს და... „არსენალის" შანსებზე და სურვილებზე ვთქვათ. ლონდონელი „მეთოფეები" ჯერჯერობით ხუთი ქულით უსწრებენ მეორეადგილოსან „იუნაიტედს" და ხვალ მაჩანჩალა „ვესტ ჰემს" მასპინძლობენ. სავარაუდოდ, „არსენალი" ლონდონურ ბრძოლაში მეტოქეს დაამარცხებს და თუ „მანჩესტერმაც" წააგო, მდევარს მთელი რვა ქულით ჩამოიტოვებს. ამასთანავე, ეჭვი გვაქვს, რომ „არსენალს" „ლივერპულის" ამბავი არ დაემართება და მისი დაწევა და გადასწრება ურთულესი საქმე იქნება. ცხადია, „არსენალი" ოლდტრეფორდული მატჩის ფრედ დასრულებითაც კმაყოფილი დარჩება.

რაც აქამდე ვთქვით, იმის ახდენა სავსებით რეალურად მოჩანს, რადგან „ჩელსისნაირი" მიღწევები „ოლდ ტრეფორდზე" არც ერთ პრემიერლიგურ კლუბს არ აქვს. რაც პრემიერლიგა არსებობს, ლონდონელები ათჯერ ეწვივნენ მანჩესტერს და მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ — მათ სამი თამაში მოიგეს და ხუთიც ფრედ დასრულდა. აბა, სხვა რომელი გუნდი დაიკვეხნის „ოლდ ტრეფორდზე" დადებითი ბალანსით?

ამ გუნდთა ბოლო შეხვედრა 17 დეკემბერს გაიმართა და ლიგის თასისა იყო. კლაუდიო რანიერის გუნდმა 0:1 წააგო. მაგრამ ჩელსელთათვის უმჯობესია, სადღეისოდ ბოლო პრემიერლიგური მატჩი გაიხსენონ. მაშინ, 2001 წლის 1 დეკემბერს, მელხიოტის, ჰასელბაინკისა და გუდიონსენის გოლებით „ჩელსიმ" „ოლდ ტრეფორდზე" 67544 მაყურებლის თანდასწრებით დაამარცხა იქაურთა კერპი.

სტუმრებს, შემადგენლობის თვალსაზრისით, პრობლემები არ აქვთ. მოედანზე იქნებიან ჯანფრანკო ძოლაც — „ჩელსის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული იტალიელი და ეიდურ გუდიონსენიც — სეზონის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის" მოსურნე ისლანდიელი.

სტუმართა ბანაკში სხვა სასიხარულო ამბავი ისაა, რომ ფეხბურთის ასოციაციამ კარლო კუდიჩინის „ოლდ ტრეფორდზე" თამაშის უფლება მისცა. საქმე ისაა, რომ იტალიელი მეკარე „მიდლსბროსთან" მატჩისას გააძევეს, მაგრამ დისკვალიფიკაციას მოგვიანებით მოიხდის.

გუნდის საერთო განწყობა და მისი ძალა ემანუელ პეტიმ ასე შეაფასა: „ამ სეზონში კლასში განსხვავებას ველარ ვხედავ. „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი" და „ჩელსი" აბსოლუტურად თანაბარი ძალის გუნდები არიან".

სერ ალექს ფერგიუსონს ასარჩევად აქვს საქმე. მომჯობინდნენ უელსელი გარემარბი რაიან გიგზი და არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი. გუნდს სამთვიანი მკურნალობის მერე დაუბრუნდა ნიკი ბატიც, რომელმაც კოჭზე ოპერაცია გაიკეთა, თუმცა ხანგრძლივი უთამაშებლობის გამო მას თავდაპირველად, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე ვნახავთ.

რუუდ ვან ნისტელროი კი შეშფოთებულია. უკვე ვწერდით, რომ ჰოლანდიელმა ერთ-ერთ ინტერვიუში ფეხბურთელთა შორის ფეხმოკიდებულ ყომარბაზობაზე ილაპარაკა და ახლა უფიქრია, ვაითუ, ამის გამო სერ ალექსი გამიწყრესო.

მაგრამ სერ ალექსს ასეთი წვრილმანებისთვის არ სცხელა, ცხრილს ჩაჰკირკიტებს და „არსენალის" გადასწრების გზებს ეძებს. „აქამდეც ბევრჯერ მითქვამს, რომ ეს ურთულესი სეზონია — თქვა შოტლანდიელმა — „არსენალი" შეუდარებელია, „ჩელსისაც" საჩემპიონო ამბიცია გაუჩნდა".

**ირაკლი ნინიძე**



1 დეკემბერი, 2001. ხუან ვერონმა ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ „მანჩესტერმა" მაინც 0:3 წააგო

## იტალია

პაპუნა კადია

# ვირეზს ცხრილის თავში უნდათ

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| პარმა | - | ემპოლი |
| რეჯინა | - | ბოლონია |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | - | რომა |
| კიევო | - | იუვენტუსი |
| ლაციო | - | უდინეზე |
| მილანი | - | პიაჩენცა |
| მოდენა | - | ბრეშა |
| პერუჯა | - | ინტერი |
| ტორინო | - | კომო |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 16 | 11 | 3 | 2 | 32:10 | 36 |
| ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 33:16 | 36 |
| ლაციო | 16 | 9 | 6 | 1 | 31:15 | 33 |
| იუვენტუსი | 16 | 9 | 5 | 2 | 28:12 | 32 |
| კიევო | 16 | 10 | 2 | 4 | 27:13 | 32 |
| ბოლონია | 16 | 7 | 6 | 3 | 19:13 | 27 |
| უდინეზე | 16 | 7 | 5 | 4 | 15:14 | 26 |
| პარმა | 16 | 6 | 5 | 5 | 27:19 | 23 |
| რომა | 16 | 6 | 5 | 5 | 27:23 | 23 |
| ემპოლი | 16 | 6 | 4 | 6 | 24:22 | 22 |
| პერუჯა | 16 | 5 | 4 | 7 | 18:23 | 19 |
| მოდენა | 16 | 6 | 1 | 9 | 12:24 | 19 |
| ბრეშა | 16 | 4 | 5 | 7 | 19:26 | 17 |
| პიაჩენცა | 16 | 3 | 4 | 9 | 13:24 | 13 |
| ატალანტა | 16 | 2 | 5 | 9 | 15:28 | 11 |
| რეჯინა | 16 | 2 | 4 | 10 | 13:32 | 10 |
| ტორინო | 16 | 2 | 3 | 11 | 9:30 | 9 |
| კომო | 16 | 0 | 6 | 10 | 9:27 | 6 |

აი, ამ კვირას, ანუ ხვალ, „კიევოს“ შეუძლია თავისი შთამბეჭდავი თამაშიც და შედეგებიც კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადოს, ოღონდ, საამისოდ მას „იუვენტუსის“ დამარცხება მართებს. თამაში ვერონაშია, თორემ ასეთ ხმამაღალ განცხადებას როგორ გავბედავდით.

გეხსომებათ, ვერონის ეს გუნდი სერია A-ში, ისტორიაში პირველად, წინა სეზონში გამოჩნდა და მეხუთე ადგილზე გასვლით ყველა გააოცა. კეთილი, მაგრამ გაოცების მიუხედავად „კიევოს“ მაინც შემთხვევით მოვლენად აღიქვამდნენ და ამბობდნენ, შემდეგ სეზონში ანუ ახლა თავის ადგილას, აუტსაიდერთა ზონას დაუბრუნდებაო. დიახ, ასე ამბობდნენ სხვები, თუმცა ვერონელების თავკაცი ლუიჯი დელ ნერი ასე არ ფიქრობდა და, როგორც ხედავთ, „მფრინავი ვირები“ ისევ მეხუთე ადგილზე ბრძანდებიან. და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან წავიდნენ გასული სეზონის გმირები ბერნარდო კორადი და კრისტიან მანფრედინი.

ერთი სიტყვით, დელ ნერიმ მაინც შექმნა ახალი, ძლიერი „კიევო“, რომელზეც სული ცოდვილო და, ამბობენ, წინა სეზონისას სჯობსო. დახეთ გუნდის ახლანდელ შედეგებს: მოუგო „ლაციოს“, „მილანს“ და „რომას“, ხვალინდელ მეტოქესთან, „იუვენტუსთან“ ქულები თანაბრად აქვს და მეოთხე ადგილზე მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ ერთი კვირის წინ „რეჯინას“ 5:0 მოუგო და გატანილ-გაშვებულთა სხვაობა გაიუმჯობესა.

რა შემადგენლობით ითამაშებს ვერონაში „ბებერი ქალბატონი“? ბუნებრივია, იმისგან ძალიან განსხვავებულით, ოთხშაბათს, თასის მეოთხედფინალში „პერუჯასთან“ რომ ითამაშა და 1:2 წააგო. კერძოდ, მოედანზე აუცილებლად ვიხილავთ დავიდ ტრეზეგეს, რომელმაც „რეჯინასთან“ ზემოხსენებულ შეხვედრაში აკრობატული გოლი გაიტანა. ცხადია, იქნება ალესანდრო დელ პიეროც.

დელ ნერი კი ამასობაში მასიმო მარაცინას გარეშეა — მარაცინამ „რომასთან“ 1:0 გამარჯვების შემდეგ მწვრთნელი საჯაროდ გააკრიტიკა, რამაც იგი, ბუნებრივია, გააბრაზა და ფეხბურთელი მოკვეთა. შესაძლოა, „მფრინავ ვირთა“ შორის არ იყოს მცველი ნიკოლა ლეგროტალიეც. იგი ტრავმირებულია.

ქართველი მცველის, კახა კალაძის „მილანი“ კი „პიაჩენცას“ უმასპინძლებს, ოღონდ „შავ-წითლებს“ ალესანდრო ნესტა არ ეყოლებათ — წინა ტურში „ბოლონიას“ წინააღმდეგ, ნესტა გააფრთხილეს და ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის. „პიაჩენცა“ გასავარდნ გუნდებს მაინცდამაინც ვერ უსწრებს — ბოლო ხუთ თამაშში მხოლოდ ორი ქულა მოკრიბა — და სწორედ ამიტომ მეტისმეტად მოინდომებს. პიაჩენცელები თვლიან, რომ მათი მთავარი პრობლემა დაცვა იყო, რის გამოც „ნაპოლისგან“ კლაუდიო ფერარეზეც კი შეიძინეს და მას „სან სიროს“ მინდორზე ვიხილავთ.

„ინტერი“ პერუჯაში მიდის. „პერუჯამ“, აკი ზევითაც მოგახსენეთ, თასზე „იუვენტუსს“ აჯობა და ისეთ კარგ გუნებაზეა, რომ უეჭველად „ინტერის“ შეხრამუნებაც მოუნდება. „ინტერს“, ცხადია, არ ეყოლება ერნან კრესპო, თუმცა, ალბათ, დაუბრუნდება კრისტიან ვიერი. ერთი სიტყვით, თავდასხმაში ვიერისა და მოჰამედ კალონის გამოჩენაა მოსალოდნელი.

„ლაციო“ „უდინეზეს“ მასპინძლობს, ოღონდ ბრაზილიელი სესარის გარეშე. სესარს მუხლი სტკივა. რომაელებს, ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, რომ მილანური კლუბების კამპანიაში მოხვედრა სურთ, უდინელებს კი ბოლოდროინდელი კარგი შედეგების გაგრძელება — ბოლოს „უდინეზემ“ ნოემბრის დასაწყისში „მილანთან“ წააგო.

„რომას“ ამბავიც გაინტერესებთ? ეს დასუსტებული გუნდი ბერგამოში თამაშობს და იმედოვნებს, რომ „ატალანტა“, რომელსაც ნოემბრის მერე არ მოუგია, ახლაც ვერ მოიგებს. თანაც, მასპინძლებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული მცველი პაოლო ფოლიო და ნახევარმცველი ლუჩანო ძაური.



დავიდ ტრეზეგე



ლუიჯი დელ ნერი

## ესპანეთი

გიორგი ტარჯანი



ბოლო მადრიდული დერბი „სანტიაგო ბერნაბეუზე“:
რეალელი რაული და ატლეტიკოელი რუბენ ბარახა

# მადრიდში დერბი და მალიორკას აჩრდილი ბრუნდება

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სოსიედადი | — | სელტა |
| ბარსელონა | — | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| რაიო ვალეკანო | — | ვალიადოლიდი |
| ალავესი | — | ოსასუნა |
| რასინგი | — | ბეტისი |
| ვილიარეალი | — | ესპანიოლი |
| დეპორტივო | — | ბილბაო |
| რეალი | — | ატლეტიკო |
| სევილია | — | მალაგა |
| მალიორკა | — | უელვა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 17 | 10 | 7 | 0 | 33:20 | 37 |
| რეალი | 17 | 10 | 6 | 1 | 37:16 | 36 |
| ვალენსია | 17 | 8 | 5 | 4 | 27:14 | 29 |
| დეპორტივო | 17 | 8 | 5 | 4 | 24:20 | 29 |
| ბეტისი | 17 | 7 | 6 | 4 | 28:21 | 27 |
| სელტა | 17 | 8 | 3 | 6 | 20:17 | 27 |
| მალიორკა | 17 | 8 | 2 | 7 | 23:30 | 26 |
| ატლეტიკო | 17 | 6 | 6 | 5 | 26:22 | 24 |
| ბარსელონა | 17 | 6 | 5 | 6 | 25:19 | 23 |
| სევილია | 17 | 5 | 6 | 6 | 15:14 | 21 |
| ვილიარეალი | 17 | 5 | 6 | 6 | 19:21 | 21 |
| ვალიადოლიდი | 17 | 6 | 3 | 8 | 17:19 | 21 |
| ბილბაო | 17 | 6 | 3 | 8 | 25:32 | 21 |
| მალაგა | 17 | 4 | 8 | 5 | 22:24 | 20 |
| რასინგი | 17 | 6 | 2 | 9 | 20:23 | 20 |
| ალავესი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:28 | 20 |
| ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 18:23 | 19 |
| რაიო | 17 | 5 | 3 | 9 | 18:25 | 18 |
| ესპანიოლი | 17 | 5 | 1 | 11 | 19:28 | 16 |
| უელვა | 17 | 2 | 4 | 11 | 13:34 | 10 |

ყოველწლიურად ევროპის ათიოდ ან ცოტა მეტ ქალაქში ზოგადევროპული დონის დერბები იმართება, მადრიდი კი ამ სიამოვნებას მთელი ორი სეზონი მოკლებული იყო. პრიმერადივიზიონში „ატლეტიკოს“ დაბრუნების შემდეგ ეს დიდი დერბიც აღდგა. ხვალ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალი“ „ატლეტიკოს“ მასპინძლობს.

ამ მატჩამდე „რეალი“ ზედიზედ ექვსი მოგებით მივიდა და „რეალ სოსიედადთან“ ჩამორჩენა ქულამდე შეამცირა.

ბოლო მადრიდული დერბი „ბერნაბეუზე“ 1999 წლის ოქტომბერში გაიმართა და „ატლეტიკომ“ 3:1 მოიგო. იმ სეზონში ატლეტიკოელებისთვის „რეალის“ ძლევა ერთადერთი ნათელი წერტილი იყო.

„სანტიაგო ბერნაბეუსთან“ თავისი სასიამოვნო მოგონება „ატლეტიკოს“ ახლანდელ მწვრთნელს, ლუის არაგონესსაც აქვს — ის ბოლო მწვრთნელია, რომელმაც ამ სტადიონზე პრიმერადივიზიონის მატჩი მოიგო. 2000 წლის ნოემბერში არაგონესის „რეალ მალიორკამ“ ამ სტადიონზე „რეალი“ 2:0 დაამარცხა.

„მოლიანობაში „ბერნაბეუ“ ჩემთვის იღბლიანი სტადიონია — თქვა მხცოვანმა მწვრთნელმა „ტელემადრიდთან“ ინტერვიუში — მეტოქეს შეიძლება მთელი მსოფლიო დონის ვარსკვლავი ჰყავს, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ არის. დაჯაბნი თუ არა მეტოქეს, იმაზეა დამოკიდებული, ღროის კონკრეტულ 90 წუთში როგორ გამოიყურები და რას დაუპირისპირებ მოწინააღმდეგეს“.

მოგეხსენებათ, სეზონის წინ „ატლეტიკომ“ რამდენიმე ჭალარაშეპარული ვარსკვლავი დაიმატა, თუმცა მისი მთავარი იმედი მაინც ყმაწვილი ფორვარდი ფერნანდო ტორესია, რომელსაც უკვე ცხრა გოლი დაუგროვდა და გადამწყვეტი როლიც შეასრულა წინა კვირაში „დეპორტივოს“ დამარცხებაში. ამ გამარჯვებამ გუნდი მერვე ადგილზე აიყვანა. ამბობენ, ტორესი და მისი მეგობრები თუ შეძლებენ „რეალის“ ძლევამოსილი სვლის შეჩერებას, რაც დეკემბერში „მალიორკასთან“ თვალსაჩინო 5:1-ით დაიწყო.

მადრიდული დერბის გარდა, ამ ტურში ერთი გამორჩეული მატჩიცაა: „ბარსელონა“ „ვალენსიას“ მასპინძლობს და მერე რა, რომ „ბარსა“ მე-9 ადგილზეა და ლიდერს მთელი 14 ქულით ჩამორჩება.

სავარაუდოა, რომ ლუის ვან გაალი კვლავ უხმობს არგენტინელებს — ხავიერ სავიოლას და რომან რიკელმეს, გაისკა მენდიეტას კი ძველი მეგობრების წინააღმდეგ მოუწევს თამაში. ვალენსიელთა შორის კი ერთი სიახლეა — გამთამაშებელმა პაბლო აიმარმა, „რეალთან“ მატჩისას მიღებული წითელი ბარათისთვის დაკისრებული დისკვალიფიკაცია მოიხადა.

„სოსიედადის“ მოთუელენი და მის დამარცხებას გამოდევნებული მეფსონეები კი ლიდერისა და „სელტას“ მატჩის მოლოდინში არიან. სანსებასტიანელთა ზედიზედ ორმა ფრემ, მათი აზრით, წაგების აუცილებლობა გამოიწვია და „სელტაც“ არ არის ის გუნდი, ვინმეს გამწარება რომ არ შეეძლოს. მაგრამ მეორე მხრივ, ვიგოელებს ორი ფეხბურთელი დააკლდებათ — დისკვალიფიცირებული მცველი ფერნანდო კასერესი და რუსი ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი.

დავძინოთ, რომ ნახსენები საშივე მატჩი დღეს ღამით გაიმართება.

ხვალინდელი მატჩებიდან კი გამოვარჩიოთ „დეპორტივოსა“ და „ბილბაოს“ შეხვედრა. მასპინძელთა თავკაცი ხავიერ ირურეტა სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნებას უპირებს პორტუგალიელ ცენტრალურ მცველ ჟორჟე ანდრადეს, რომელიც ჯერ კიდევ სეზონის პირველ მატჩში დაშავდა. ბასკებს მოსაძებნი ეყოლებათ სეზონში ცხრა გოლის გამტანი ისმაელ ურსაისის შემცვლელი, რაკი ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია.

## იტალია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

# ვინჩენცოსა და ვიჩენცას სანახევრო მარჯიში

**ვიჩენცა 1:2 რომა**

0:1 მონტელა (30), 0:2 დელვეკიო (67), 1:2 ძანკეტა (69)

რომა: ანტონიოლი, კუფრე, სამუელი, ალდაირი, კანდელა, სარტორი, ემერსონი, დაკური, ბომბარდინი (ტომიჩი 75), მონტელა, დელვეკიო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ოდე ბოლოხანს დასუსტებული „რომასთვის" იტალიის თასის მეოთხედფინალში, უფრო ზუსტად კი მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „ვიჩენცასთან" გამარჯვება რამეს ნიშნავს, აი, ბატონი: ვინჩენცო მონტელასა და მარკო დელვეკიოს გოლების წყალობით ფაბიო კაპელოს ქვეშევრდომებმა 2:1 მოიგეს.

მონტელამ ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა. ასისტენტობა იტალიის ნაკრების ფორვარდს დავიდე ბომბარდინომ გაუწია. მორიგელ ძალიან ჩააწოდა ბურთი, რომელიც თავით კარში შეაგდო.

68-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახდა. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი მონტელამ კარის გასწვრივ გადაიგდო, იქ კი დელვეკიომ იხტა და ახლოდან გაიტანა. თუმცა, ორი წუთის შემდეგ „ვიჩენცამ" საჯარიმო დარტყმით შეამცირა ანგარიში: ფრანჩესკო ანტონიოლიმ ანდრეა ძანკეტას დარტყმული ვერ მოიგერია.

ამის შემდეგ რომაელები გადაჯგუფდნენ და (თასის თამაში სანახევროდ მაინც [illegible]) დარჩენილი დრო თავდაცვას მოანდომეს. „ვიჩენცამ" კი მაინც [illegible] მოახერხა — პირიქით, მხოლოდ წამატებულ წუთებში [illegible] დარჩა, რადგან მცველმა [illegible] მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

**პაპუნა კედია**

## ესპანეთი

თასის 1/4 ფინალის წილისყრა

დეპორტივო — მურსია; რეალი — მალიორკა; უელვა — ატლეტიკო; სევილია — ოსასუნა

*1 მატჩები გაიმართება 20 იანვარს, საპასუხოები — 27 იანვარს*

## სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატი (20-წლამდელები)

პლეი ოფი. I ტური

**ურუგვაი 1:1 არგენტინა**

1:0 ოლივერა (32), 1:1 პისკულიკი (82)

*ეკვადორი — კოლუმბია და ბრაზილია — პარაგვაი ნუხელ გვიან დამთავრდა*


საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონ-მაღაზია

ბილიარდის სახლი

რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

ზევსი

აქსესუარები

Zeus

- კიიები 29 GEL-დან
- ბურთები 171 GEL-დან
- მაუდი 82 GEL-დან
- კიის თარო 19 GEL-დან
- მაგიდის განათება 126 GEL-დან




გილოცავთ ახალ წელს!

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, ჭყონდიდის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08
Fax: 94 33 80




# ჰიცფელდის დიქტატურა

## ელბერმა კაიზერის მოთმინების ფიალა დალია და ღმერთს ახედა

*მიუნხენის „ბაიერნმა" ზამთრის არდადეგები ესპანეთში, მარბელაში გაატარა და შინ დაბრუნდა. მზე, ზღვა და ძვირფასი სასტუმრო 295 ევროდ ღირებული ნომრებით ესპანეთში დარჩა, თუმცა ფეხბურთელები მარბელურ ამბებს ტკბილი მოგონებების სადღეგრძელოში ვერ ჩააქსოვენ. ოტმარ ჰიცფელდმა შეგირდებს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია მოუწყო. ჰერ ოტმარის ეპოქაში „ბაიერნმა" დღეში სამჯერადი ვარჯიში პირველად იგემა. მწვრთნელის დიქტატურამ მოთამაშეთა ჯიბეებშიც გაინავარდა. „ბაიერნი" ბუნდესლიგას მარტო ქულებით კი არა, ფეხბურთელებზე შეწერილი ჯარიმების ოდენობითაც ლიდერობს. ეს გასაკვირი არაა, რადგან მიუნხენელები სხვებზე გაცილებით მეტ ჯამაგირსაც იღებენ.*

**ჰიცფელდის** რისხვას თვით ოლივერ კანიც ვერ გადაურჩა. მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს მკურნალობის ჟამს ღამე დისკოთეკაში ცეკვა-თამაში დაუწყნეს. როგორ ფიქრობთ, რამდენი დაუჯდა კანს ტაშ-ფანდური? — დაახლოებით 50 ათასი ევრო. ასე ძვირი ღირს „ბაიერნში" მწვრთნელის უჩუმრად დისკოთეკაში ხეტიალი.

ბიქსენტ ლიზარაზუ რაც მიუნხენშია, ალბათ მხოლოდ ჰერ ოტმართან არ უჩხუბია. ბოლო ჩხუბისთვის ნიკო კოვაჩთან, კლუბის ყულაბაში ფრანგმა 5 ათასი ევრო ჩააცურა. პაბლო ტიამს 10 ათასი ააფცქვნეს იმიტომ, რომ ჰიცფელდის სტრატეგიულ-ტაქტიკური ნახაზები დაიწუნა. ამჟამად ტიამი „ვოლფსბურგში" ეფენბერგს შეეკედლა.

სხვებზე მეტად მაინც განელი სამუელ კუფური შეაჯანჯღარეს — იერემისთან და ფინკთან ვარჯიშზე საქმის გარჩევა 5 ათასი ევრო დაუფასეს. ერთი ამდენი ვარჯიშზე დაგვიანებისთვის აართვეს, ბოლოს კი ათასი ევრო იმიტომ ჩამოაჭრეს, რომ ქომაგთათვის დასარიგებელ ბურთებზე ხელის მოწერა დაავიწყდა.

2003 წელი ოტმარ ჰიცფელდმა ახალი „როზგებით" დაიწყო. ხაფანგში პირველი პერუელი მეგოლე კლაუდიო პიზარო გაება. მან ჟურნალ „კიკერთან" ინტერვიუში საჭიროზე მეტი ილაქლაქა. კერძოდ, სათადარიგო სკამის ხეხვით და მწვრთნელის დაცვითი ტაქტიკით უკმაყოფილება გამოთქვა. ჟურნალებს ძია ოტმარიც კითხულობს, ჰოდა, „კიკერთან" სჯა-ბაასი და აზრთა ფრქვევა პერუელს 10 ათასი ევრო დაუსვეს.

ეს ამბავი ფეხბურთელმა უკვე მარბელაში ყოფნისას შეიტყო გუნდის კრებაზე, რომელზეც ჰიცფელდმა თავი დიქტატორად გამოაცხადა. მიუნხელთა მიერ ზედმეტი საუბრისა და ჩხუბის გამო გადახდილი თანხა რომ მოვაქუჩოთ, ერთ საშუალო ქართულ საფეხბურთო გუნდს დაამშვენებდა.

„ბაიერნის" სათამაშო სქემა-რგოლები მწვრთნელმა ესპანეთში გაარკვია. კარში უეჭველად ოლივერ კანი ჩადგება. დაცვას ოთხნი მიხედავენ. მარჯვნივ სხარტი ჰარგრივსი ვილი სანიოლის ადგილას დაიკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი უფრო შუა ხაზში მოქმედებდა, ჰიცფელდმა მას ახალი ამპლუა გამოუნახა. სანიოლი ამჟამად ფორმაში არაა, თან წონაშიც მოიმატა. ჰერ ოტმარის კანონით, ზედმეტ კილოზეც გადასახადია დაწესებული, მაგრამ ფრანგს საპატიო მიზეზი აქვს — იგი ტრავმის გამო ისვენებდა და ამიტომაც იმატა.

ცენტრში კოვაჩი და ლინკე შეწყვილდებიან. წყვილს შეიძლება სამუელ კუფურიც ჩაენაცვლოს, მაგრამ ამჟამად განელი დეპრესიაშია. მისი თხუთმეტი თვის გოგო განაში, ფეხბურთელის აგარაკზე აუზში ჩავარდა და დაიხრჩო. კუფური, ცხადია, სასწრაფოდ სამშობლოში გაემგზავრა.

„დანიასთან თამაშის შემდეგ, ბრაზილიას შევხვდით. ვიცი, ინგლისში ყველას ეგონა, რომ ჩვენ მათ ვაჯობებდით. ჩვენც გვწამდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ მეტოქე ძლიერი იყო და ეს იმითაც დამტკიცდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მსოფლიოს ჩემპიონობა დიდი ოცნებაა. ამ ტიტულის მოგება ფეხბურთის ისტორიაში მხოლოდ შვიდმა ქვეყანამ შეძლო. თვით ესპანეთს და ჰოლანდიასაც კი არასდროს გაუმარჯვიათ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ახლა ინგლისში ნიჭიერი თაობა იზრდება და ვფიქრობ, 2006 წელს გამარჯვების იმედი უნდა გვქონდეს".

აქვე ბუცების შესახებაც ვთქვათ: ამიერიდან ბექემს ადიდასის Predator Lunar Mania ეცმევა. ეს ახალი მოდელია, უფრო მორგებული, აკურატული, ბურთის დასამორჩილებლად მოხერხებული, რომლითაც დარტყმაც უფრო ღონივრად შეიძლება.

დაბოლოს, თმის ვარცხნილობაზე. მანჩესტერელმა ქომაგებმა ბექემის ვარცხნილობაზე ხუმრობა დაიწყეს, როდ სტიუარტი მხოლოდ ერთიაო.

ფეხბურთელი ამბობს: „ფანებს იუმორის დიდი გრძნობა აქვთ და როდესაც მაშაყირებენ, არ ვბრაზობ, ოღონდ ისიც ფაქტია, რომ „ოლდ ტრეფორდზე" ახალი მოდა დავნერგე".

**ბაჩუნა კედია**









# ჩაიშალა: ფაულერი სიტიში
# გაიჩარხა: კლებერსონი ლიდსში





„ლიდსში" დარჩენილ რობი ფაულერს მალე კლებერსონი შეუერთდება

**ზამთრის** სატრანსფერო სეზონში განსაკუთრებული აქტიურობით ინგლისური „ლიდს იუნაიტედი" რომ გამოირჩევა, ნათელია. ამის მიზეზი კი, ადრეც გაუწყეთ, კლუბის ფინანსური პრობლემები, კერძოდ, ძალუმად მომრავლებული ვალებია. კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალება იორკშირელებმა ფეხბურთელთა გასხვისებაში მონახეს და წამყვანი მოთამაშეები, ოლივიე დაკური და ლი ბოიერი რომისა და ლონდონის გზებს გაუყენეს.

ბოლოს ერთი სერიოზული საქმეც გამოჩნდა, რობი ფაულერი 11 მილიონ გირვანქად „მანჩესტერ სიტიმ" იყიდა და ეს ტრანსფერი ლიდსის კონტრაქტზე ხელისმოწერამდე გამარხულად გამოცხადდა.

მაგრამ გუშინ უცნაური რამ მოხდა, გარიგება ჩაიშალა, რაზეც თავად ფეხბურთელმა ცოტა ბუნდოვანი კომენტარი გააკეთა.

„ტრანსფერის ჩაშლა არ ნიშნავს იმას, რომ „მანჩესტერ სიტის" არ ვაფასებ, პირიქით, კევინ კიგანი ბრწყინვალე მწვრთნელია, მასთან ერთად მუშაობა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი სიამოვნებაა. თუმცა ტერი ვენეიბლზს ჩემი გაშვება არ სურდა, მეც ამ აზრზე ვიყავი და საბოლოოდ „ლიდსში" დავრჩი" — თქვა ფაულერმა და დასძინა, ლიდსელ ქომაგებს ჩემ სიძლიერეს კიდევ დავუმტკიცებ, რისი შესაძლებლობაც ბოლო ერთი წლის მანძილზე არ მომცემიაო.

ისე, მოვლენები მართლაც უცნაურად განვითარდა, რადგან 27 წლის თავდამსხმელის მანჩესტერში გადასვლა იმდენად გადაწყვეტილ საქმედ ჩანდა, რომ მან სამედიცინო შემოწმებაც კი გაიარა ახალ კლუბში, თუმცა შემდეგ, როგორც თავად ამტკიცებს, გონება გაუნათდა და გაახსენდა, რომ „ლიდს იუნაიტედში" კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე დარჩა გასაკეთებელი და „სიტისაც" თავაზიანი უარი უთხრა.

„ცოტაც და კონტრაქტს გავაფორმებდი, მაგრამ უცებ დავფიქრდი, რომ არასწორად ვიქცეოდი, „ლიდსში" კიდევ ბევრი დამრჩა გასაკეთებელი" — თქვა რობიმ და მერე იორკშირული კლუბის და მისი თავკაცის ქებას და დიდებას მიჰყვა.

ტრანსფერის ჩაშლის ფაულერისეული ვერსია უკვე იცით. ახლა ისიც ვთქვათ, რასაც ეჭვობენ. ადვილი შესაძლებელია, რომ ფორვარდი „სიტიმ" სულაც სამედიცინო შემოწმების დროს დაიწუნა და მის შეძენაზე უარი თქვა, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ვინაიდან იგი მხოლოდ დეკემბერში მომჯობინდა მძიმე ტრავმის შემდეგ და ფეხბურთელს ამის აღიარება არ უნდა.

შეგახსენებთ, რომ ფაულერი „ლიდსში" წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ გადავიდა „ლივერპულიდან" და მას შემდეგ პრემიერლიგაში 24 მატჩში 14 გოლი გაიტანა. მანამდე კი, იგი თითქმის ათი წელიწადი თამაშობდა „ლივერპულში" და სულ 171-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი, ხოლო ინგლისის ნაკრებში 26 მატჩი ჩაატარა.

ლიდსური ამბები ამით არ ამოგვიწურავს. მართალია, კლუბმა ფაულერის 11 მილიონი დაკარგა, მაგრამ იმდენი კი მაინც მოახერხა, რომ მისმა წარმომადგენლებმა თითქმის დაასრულეს მოლაპარაკება „ატლეტიკო პარანენსესთან" ბრაზილიელი კლებერსონის ტრანსფერის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილება ამ უქმეებზე გახდება ცნობილი.

შეთანხმების თანახმად, ბრაზილიური მხარე 4 მილიონ გირვანქას მიიღებს, ხოლო 23 წლის კლებერსონთან „ლიდსი" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს 12 ათასგირვანქიანი ყოველკვირეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

თავად ფეხბურთელი, რომელიც წმინდა ვალენტინის დღეს, 14 თებერვალს, თავის გულისსწორ ლაიან ვილიანს და სილვასთან დაქორწინებას აპირებს, ფრიად კმაყოფილია და აღნიშნა, ინგლისში გადაბარგება ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებაო.

„ლიდსს" კი ალბათ მარტო კლებერსონის შეძენა არ აკმაყოფილებს, რაკი თვალი „დერბის" 2 მილიონ გირვანქად შეფასებულ თავდამსხმელ მალკოლმ კრისტისაც დაადგა.

რაც შეეხება იორკშირელთა ახლანდელ მოიჯარეებს, გადაწყდა, რომ მათგან ტრანსფერზე არავის დააყენებენ, ვალების გასასტუმრებლად კი სხვა გზებს მოძებნიან. მეტიც, ალან სმიტთან და დენი მილსთან „ლიდსი" ახალ, ხუთწლიან კონტრაქტებს გააფორმებს.



**რუს** მეკარე რუსლან ნიგმატულინს იტალიური „სალერნიტანა" ეპატიჟება. ნიგმატულინი ახლა „ვერონას" საკუთრებაა და სალერნოული კლუბიც მისი იჯარის წესით აყვანას ლამობს. „სალერნიტანაც" და „ვერონაც" სერია B-ში თამაშობენ. რუსეთის ნაკრების გოლკიპერი გადაჭრით ვერაფერს ამბობს, თუმცა გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" მტკიცებით, შეთანხმება უკვე მიღწეულია და ნიგმატულინიც სეზონის ბოლომდე სწორედ „სალერნიტანას" ღირსებას დაიცავს.

**ინგლისური „ფულემის" ფრანგ მწვრთნელ ჟან ტიგანას თქმით, უკრაინელი ფორვარდი სერგეი რებროვი მისი გუნდის უპირველესი თავდამსხმელი იქნება. როგორც უკრაინული მედია იტყობინება, რებროვმა უკვე გაიარა ლონდონურ კლუბში სამედიცინო შემოწმება და სადაცაა კონტრაქტსაც ხელს მოაწერს. ინგლისელი მიმომხილველების თქმით კი, „ფულემის" ხელმძღვანელობა „ტოტენჰემისას" რებროვის სატრანსფერო თანხაზე უკვე მოურიგდა. „ტოტენჰემი" თანახმაა, სამი მილიონი გირვანქის სანაცვლოდ შეელიოს ფეხბურთელს. „ფულემში" ახლა ოთხი თავდამსხმელია, თუმცა სერგეი რებროვს მათ შორის უპირატესობა აქვს. მის თამაშს კარგა ხანია, ვაკვირდები. მჯერა, ჩვენთან უკრაინელი თავის ნიჭს სრულად წარმოაჩენს" — აცხადებს ტიგანა.**

**იტალიურ** „იუვენტუსს" „პარმას" რუმინელი ფორვარდი ადრიან მუტუ სურს და თანახმაა, მის სანაცვლოდ მსუყე თანხა გაიღოს და ზედ ნახევარმცველი მაურო კამორანეზიც დაამატოს. თავად მუტუს კი ეს ყოველივე ნაკლებად ადარდებს და აცხადებს, რომ „პარმაში" ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს, მუდმივად ძირითადში თამაშობს და არსად წასვლას არ აპირებს, თუ კლუბის ხელმძღვანელობამ თავად არ ისურვა მისი გუნდიდან გაშვება.

**არგენტინელი ახალგაზრდა მცველი მარტინ დემიკელისი გუშინ ოფიციალურად გახდა მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი. გერმანული გრანდის ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეს თქმით, დემიკელისი ძალიან ნიჭიერია და დღითი დღე იზრდება. თავის მხრივ, ტრანსფერით კმაყოფილია „რივერ პლეიტის" ყოფილი მცველიც: „ბაიერნი" დიდი გუნდია, ბედნიერი ვარ მიუნხენურ კლუბში გადმოსვლით და ვეცდები, ძირითადში ადგილი დავიმკვიდრო".**

**კამერუნელი** თავდამსხმელი პატრიკ მბომა იაპონურ „ტოკიო ვერდი კავაზაკიში" ითამაშებს. 32 წლის ფეხბურთელმა გუნდში ბრაზილიელი ედმუნდო უნდა შეცვალოს. მბომა იაპონურ ჯეი-ლიგაში ადრეც ბურთაობდა, 1997 წელს „გამბა ოსაკას" ღირსებას იცავდა და 29 გატანილი ბურთით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც მოიპოვა.

**ბრაზილიელი რომარიო თანამემამულე პელეს რეკორდის დამხობას აპირებს, ანუ სურს, ჯერ კარიერაში ათასი ოფიციალური გოლი გაიტანოს და მერე ათასმეერთეც. ახლა რომარიოს 857 ბურთი აქვს გატანილი, დასახული მიზნის მიღწევას კი სამ წელიწადში აპირებს. 37 წლის რომარიო აცხადებს, რომ „ფლუმინენსეს" მწვრთნელმა რენატო პორტალუპიმ მას ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. „ჩემი გუნდი შედგება რომარიოსა და დანარჩენი ათი ფეხბურთელისგან" — თქვა პორტალუპიმ.**

**ხორვატმა** დავორ შუკერმა განაცხადა, ფეხბურთის თამაში, ვარჯიშები მომბეზრდა და 80 პროცენტით გადაწყვეტილი მაქვს, კარიერა დავასრულოო. შუკერი ახლა გერმანულ „მიუნხენში" თამაშობს, ვარჯიშებსა და შეკრებებზე მისვლა კი ეზარება: „ვფიქრობ, საკმარისია. 25 წელი ვითამაშე მაღალ დონეზე და ახლა დასვენებას ვაპირებ" — 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს უხასიათობა ნამდვილად არ ეტყობა.

**ფრანგული პსჟ-ს თავდამსხმელი ფაბრის ფიორეზე საფრანგეთის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა სპორტულ აფერისტობაში ამხილა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ფიორეზემ პსჟ — ბორდოს მატჩის არბიტრი დამიენ ლედენტუ აცდუნა, როცა მეტოქის საჯარიმოში განგებ წაქცეულმა ისიმულანტა, საშინელი ტრავმა მოიმიზეზა და მსაჯს ბორდოელი მცველი მარკუ კანეირა მინდვრიდან გააძევებინა. კანეირას წითელი ბარათი გაუუქმეს, პსჟ-ს პრეზიდენტი ლორან პერპერი კი დისციპლინარების მიერ მიღებულ ვერდიქტს სავსებით ეთანხმება, თუმცა დასძენს: ფიორეზეს ალბათ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც ეყოფოდაო.**

**ესპანური** „სელტას" ფრანგი ნახევარმცველი პეტერ ლუქსენი უეფამ 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ლუქსენს უეფას თასის მატჩში, სელტიკელ ჯონ ჰარტსონთან შეხლა-შემოხლა და ჩხუბი არ აპატია, წამომწყები შენ იყავიო. „სელტას" უეფაში აპელაციის უფლება 19 იანვრამდე აქვს.

# ყურმილი აიღე, ბიჭო!
## პრეზიდენტი ფეხბურთელს ფეხების დამტვრევით დაემუქრა

**ათენის** აეკ-ის ფორვარდის დემის ნიკოლაიდისის თავს ცუდი ამბები ხდება. საქმე ისაა, რომ, კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელს დასახიჩრებით და საერთოდ ართქლებით დაემუქრა. ნიკოლაიდისმა კი არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ აეკ-ის პრეზიდენტ მაკის პრომიადისის მისამართით გაიშვირა ხელი.

თავდამსხმელი ირწმუნება, რომ კლუბის თავკაცი და კიდევ რამდენიმე ჯანიანი ჯეელი პირადად ეწვივნენ მას სახლში შუაღამაზე, ძალით გაათრიეს ქუჩაში და იქ პრომიადისი ნიკოლაიდისს დაემუქრა, ჭკუაზე თუ არ მოეგები და ჩემს სატელეფონო ზარს არ უპასუხებ, ორივე ფეხის ძვლებს დაგიმტვრევო.

რამ განარისხა პრეზიდენტი პრომიადისი ასე, რომ საციხო საქმეზე წავიდა? ამბობენ, ფინანსურ გაუგებრობაშია დამარხული ძაღლის თავიო. ცნობილია, რომ კლუბს ფეხბურთელის ჯამაგირი ვერ გაუსტუმრებია და მისი ვალი მართებს, რის გამოც პრეზიდენტი და ფეხბურთელი სეზონის დასაწყისიდან მოყოლებული, ძაღლი და კატასავით ვერ იტანენ ერთმანეთს.

სამშაბათს, ანუ იმ დღეს, როცა პრეზიდენტმა ფეხბურთელს განგსტერული ვიზიტი მოუწყო, კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობდა 30 წლის ფორვარდთან ტელეფონით დაკავშირებას, თუმცა ეს უკანასკნელი, ეტყობა, კარგა ხნის მიმხვდარია, რომ ტელეფონით საუბარი მისთვის ხეირს არ მოიტანდა და ამიტომ პროტესტის ნიშნად ჯიუტად არ უპასუხა პრეზიდენტის ზარს. მას შემდეგ კი, რაც პრომიადისმა საბოლოოდ გამოაჩინა ბრჭყალები და თავი ლაკი ლუჩიანოდ წარმოადგინა, დაშინებულმა ფეხბურთელმა საწვრთნელი ბაზის მაგივრად პოლიციისკენ აიღო გეზი და ახლა იმას ამბობს, სასამართლოშიც ვიჩივლებო.

სასამართლოთი დამფრთხალი პრეზიდენტი კი, სხვაგვარად ალაპარაკდა და ირწმუნება, ნიკოლაიდისმა მართლაც არ უპასუხა სატელეფონო ზარს, რის გამოც, ჩვენ მასთან წარმომადგენელი გავაგზავნეთ, თუმცა ის გამოთათხული გამოგვიბრუნა უკანო.

ხოლო მუქარასა და ძვლების მტვრევაზე პრეზიდენტს არაფერი წამოსცდენია. მით უფრო, პირად ვიზიტზეც ვერ დააცდევინეს სიტყვა.

ცნობისთვის, ნიკოლაიდისს კლუბთან კონტრაქტი გაისამდე აკავშირებს. თუმცა ძალიან საეჭვოა, ვადის ამოწურამდე დარჩეს იქ.

სიტყვა სასამართლოზეა...

**ირაკლი ვეძუა**


სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს

გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 15-16 იანვარი**

# ბოისას ჟალგირისი არ აკადრეს

## ფაჩულიას ამერიკული ჩრდილი წამოადგა



ნიკოლაუს ზუდურისმა ბევრი კი იფრინა, მაგრამ მისმა „ოლიმპიაკოსმა" მაინც წააგო „პარტიზანთან"

**ევროლიგის** ცხრილი ჩვენდა საამაყოდ გამოიყურება — სამი „ქართული" გუნდიდან ორი, „ბენეტონი" და „ოლიმპია" თავ-თავიანთ ჯგუფებში გამეფებულან, ხოლო მესამე, სტამბოლის „ულქერი", C ჯგუფის მეორე საფეხურზეა.

ახლა ასეთი კითხვა დავსვათ: რა წვლილი მიუძღვით ჩვენებურთ ამ გუნდების წარმატებაში? თუ ოლიმპიელ ვლადიმერ ბოისაზე არაფერს ვიტყვით, არავითარი. მანუჩარ მარკოიშვილი „ბენეტონში" ახლა სწავლობს ევროპული კალათბურთის ანა-ბანას, ხოლო ულქერელი ზაზა ფაჩულია ბებერ კონტინენტზე მობურთალ ცენტრთაგან ვინძლო უყოჩაღეს ჯოზეფ ბლერის ჩრდილში „ხმება". ბოლო ტურშიც თურქულმა კლუბმა სტამბოლში დრამატულ ბრძოლაში სძლია მადრიდის „რეალს" და ამ მატჩის გმირი სწორედ რომ ფაჩულიას ულქერელი წინამღგომი, ჯოზეფ ბლერია.

ბლერმა შეუცვლელად ითამაშა მატჩი, რომლის ძირითადი დრო 64:64 დასრულდა და შეხვედრის ბედიც ოვერტაიმში გადაწყვიტა. ამერიკელმა ცენტრმა ბოლო წუთზე გამარჯვების ბურთი ჩაუგდო მადრიდელებს და მასპინძლებს 85:84 მოაგებინა. ასეთ ვითარებაში თავის გამოჩენის აბა, რა შანსი უნდა ჰქონდეს ჯერაც დაულვინებელ ქართველს. ახლაც, ზაზამ სამიოდ წუთი ითამაშა და ერთადერთი, საშუალო მანძილიდან ნასროლიც გაუცუდდა, ბურთის დაკარგვა კი ორჯერ მოასწრო.

მარკოიშვილზეც ვთქვათ, თუმც მასზე ბევრი არც არაფერია სალაპარაკო, რადგან მანუჩარი მაშინ გავიდა მოედანზე, როცა „ბენეტონს" უკვე მოეთავებინა საქმე „ციბონასთვის". მარკოიშვილმა ზაგრებში 8 წუთი ითამაშა და ერთი საჯარიმოს გარდა, ერთი პასიც მიითვალა. „მანოს" ევროლიგური რეკორდი კი წინა ტურში შედგა, როცა ფრანგულ „პო ორტეზს" 9 წუთში 5 ქულა ჩაუგდო. „ბენეტონმა", რომელსაც ევროლიგაში ჯერჯერობით უძლიერესი თავდასხმა ჰყავს, რამდენიმე ტურის წინ დაიბევა მეორე ეტაპის საგზური და თუ მომდევნო მატჩში შინ სუპერგრანდ „ბარსელონასაც" დაამარცხებს, ალბათ, ჩემპიონობის მთავარფავორიტადაც შერაცხავენ.

ახლა თავში დასმულ კითხვას მივუბრუნდეთ და ბოისაც ჩავრთოთ საქმეში. „ოლიმპიას" წარმატებაში ვლადიმერ ბოისას წვლილი უდიდესია, იმის მიუხედავად, რომ ბოლო ტურში „ჟალგირისთან" ჩვენებური მისთვის მოკრძალებულად გაისარჯა. თუ მხოლოდ ქულებს მივიღებთ მხედველობაში, ვოვამ საუკეთესო საევროლიგო მატჩი წინა ტურში „ბუდუჩნოსტთან" ითამაშა. ბოისა 18 ქულით იმ მატჩის ბომბარდირი გახდა და „ოლიმპიამაც" სტუმრად იოლად სძლია ჩერნოგორიულ კლუბს.

ამ ტურში კი ბოისამ ოდენ 9 წუთი ითამაშა, რაც იმით აიხსნება, რომ ლიუბლიანას B ჯგუფის მაჩანჩალათაგანი, „ჟალგირისი" სტუმრობდა და ოლიმპიელთა თავკაცი ტომო მაჰორიჩი გუნდის ლიდერთა დატვირთვას მოერიდა. ალბათ, ამის ბრალიც იყო, რომ მასპინძლებს დასაწყისში გაუჭირდათ. პირველი ნახევარი ოლიმპიელებმა მხოლოდ 2 ქულით მოიგეს, თუმც მერე ისე ათამაშდნენ, ლიტველებს 5-წუთიანი ჯოჯოხეთი მოუწყვეს, რომელიც 22:2 მოიგეს და ბოლო ათწუთეულს ინტერესი დაუკარგეს. მასპინძელთა მწვრთნელი რომ ლიდერთა დასვენებას ეშურებოდა, მისი ქცევიდანაც კარგად ჩანს: ამ მატჩში თორმეტივე ოლიმპიელი დაასაქმა, რომელთაგან ყველაზე ნაკლები, 5 წუთი, სამო უდრიჰმა ითამაშა. ბოისას გუნდმა ამ გამარჯვებით ბურთების შეფარდება გაიუმჯობესა და ამის წყალობით გადაასწრო მოქმედ ჩემპიონ „პანათინაიკოსს", რომელსაც სიენელთა დამარცხება ცოტა გაუჭირდა. სეზონის წინ სპეციალისტების უმრავლესობა თვლიდა, რომ „ოლიმპია" 16 საუკეთესო გუნდში ვერ მოხვდებოდა, მაგრამ... პირველი ეტაპის დასრულებამდე 3 ტურია დარჩენილი და ლიუბლიანელებს უკვე თავი მეორე ჯგუფურ ეტაპზე დაუგულებიათ.

**ირაკლი ბერტაია**

### A ჯგუფი

**ბარსელონა 73:60 ეფესი**
**ბარსელონა:** იასიკევიჩიუსი (23), ბოდიროგა (16), ფუჩკა (11)
**ეფესი:** გრანგერი (14), კამბალა (12), თუნჩერი (11)

**სკიპერი 85:75 პო ორტეზი**
**სკიპერი:** ბაზილე (19), კოვაჩიჩი (18), პოცეკო (11)
**პო ორტეზი:** სელერსი (17), დიავი (13), ჟულიანი (13)

**ალბა 80:76 აეკ**
**ალბა:** სელესტენდი (21), ლოლისი (17), როდლი (13)
**აეკ:** ხაძისი (25), დიკუდისი (13), კაკიუზისი (12)

**ციბონა 71:100 ბენეტონი**
**ციბონა:** მამიჩი (15), რუჟიჩი (14)
**ბენეტონი:** იდენი (22), ლანგდონი (17), მარკოიშვილი (8 წუთი, 1 ქულა, 1 პასი)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 11 | 9 | 2 | +127 | 20 |
| ბარსელონა | 11 | 9 | 7 | +65 | 20 |
| სკიპერი | 11 | 7 | 4 | +15 | 18 |
| ეფესი | 11 | 6 | 5 | +41 | 17 |
| ციბონა | 11 | 5 | 6 | -54 | 16 |
| ალბა | 11 | 4 | 7 | -65 | 15 |
| პო ორტეზი | 11 | 3 | 8 | -67 | 14 |
| აეკ | 11 | 1 | 10 | -66 | 12 |

### B ჯგუფი

**უნიკახა 76:68 მაკაბი**
**უნიკახა:** რიზაშე (29), გუროვიჩი (15)
**მაკაბი:** ვუიჩიჩი (17), ლუისი (14)

**ოლიმპია 76:55 ჟალგირისი**
**ოლიმპია:** ბაზდარიჩი (23), იურაკი (15), ბოისა (9 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა)
**ჟალგირისი:** შტომბერგასი (17), დავიდი (16)

**პანათინაიკოსი 64:56 სიენა**
**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (16), ფოცისი (14), ქუთლუაი (12)
**სიენა:** ფორდი (21), ჟუკაუსკასი (12)

**ტაუ 103:86 ბუდუჩნოსტი**
**ტაუ:** ნოჩიონი (32), ფორესტი (21), სიმსი (21)
**ბუდუჩნოსტი:** პავლოვიჩი (21), მილუტინოვიჩი (21), ბრაუნი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 11 | 8 | 3 | +62 | 19 |
| პანათინაიკოსი | 11 | 8 | 3 | +53 | 19 |
| ტაუ | 11 | 8 | 3 | +44 | 19 |
| უნიკახა | 11 | 6 | 5 | +18 | 17 |
| სიენა | 11 | 5 | 6 | -15 | 16 |
| მაკაბი | 11 | 4 | 7 | +25 | 15 |
| ჟალგირისი | 11 | 3 | 8 | -86 | 14 |
| ბუდუჩნოსტი | 11 | 2 | 9 | -101 | 13 |

### C ჯგუფი

**შლიონსკი 80:72 კინდერი**
**შლიონსკი:** გედრაიტისი (16), ტომჩიკი (16)
**კინდერი:** ანდერსენი (26), სკარონე (20)

**ულქერი 85:84 რეალი**
**ულქერი:** ბლერი (25), ერდენაი (16), ფაჩულია (3 წუთი, 0 ქულა)
**რეალი:** მუმბრუ (19), ვიქტორიანუ (14), დიგბე (14)

**ცსკა 85:65 ვილერბანი**
**ცსკა:** ხაძივრეტასი (20), ალექსანდერი (16)
**ვილერბანი:** ფიფა (14), პეტროვი (14)

**პარტიზანი 81:71 ოლიმპიაკოსი**
**პარტიზანი:** ვუიაჩიჩი (26), კრსტიჩი (15), პაუსი (14)
**ოლიმპიაკოსი:** ევანსი (15), ჯონსონი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 9 | 2 | +105 | 20 |
| ულქერი | 11 | 7 | 4 | +18 | 18 |
| კინდერი | 11 | 6 | 5 | +22 | 17 |
| რეალი | 11 | 6 | 5 | +5 | 17 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 5 | 6 | +29 | 16 |
| პარტიზანი | 11 | 4 | 7 | -60 | 15 |
| შლიონსკი | 11 | 4 | 7 | -75 | 15 |
| ვილერბანი | 11 | 3 | 8 | -44 | 14 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



ბედს შეგუებული შესცქერის მაიკლ ჯორდანს ტრეისი მაკგრეიდი. . .

# ბებერი ყოველთვის ვერ ახერხებს, მაგრამ ზოგჯერ...

16 იანვარი

**ვაშინგტონი 108:93 ორლანდო**
**ვაშინგტონი:** ჯორდანი (32 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), ჰიუზი (22), ჰეივუდი (16), ლეიტნერი (15)
**ორლანდო:** მაკგრეიდი (31)

**იუტა 92:85 სიეტლი**
**იუტა:** მელოუნი (34), ჰარპრინგი (26)
**სიეტლი:** პეიტონი (27)

ვაშინგტონელებს არ აშინებდათ „ორლანდოსთან" შეხვედრა, ჯერი სტეკჰაუზი არა გვყავს, მაგრამ მაიკლ ჯორდანი ხომ ჩვენ გვერდითააო. ჯორდანი მოხუცია და ყოველთვის ვერ ახერხებს იმდენს, რამდენსაც მისგან ელიან და ითხოვენ. მისგან კი ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვენ, რაკი ჯორდანმა მისი „ნაწარმის მომხმარებლები" უხსოვარი დროიდან მიაჩვია უმაღლეს ხარისხს და უფრო მეტს.

გუშინწინ მაიკლი თამაშის იშტაზე იყო, ასე რომ, „ორლანდოს" მის დევნაში დიდი ჯაფა დაადგა. მაიკლი თავიდან ვერავინ გააჩერა, ვერც ჯანიანმა ტრეისი მაკგრეიდიმ, ვერც ტრავმახშირმა გრანტ ჰილმა და სტუმართა თავსატკენად და გულსახეთქად მან საწყის მეოთხედში 20 ქულა გააკეთა. კალათბურთის მოხუც ღმერთკაცს შემდეგაც არ არევია მიზანი. ეგაა, ცოტა მოიღალა და სტუმართა დაცვას დაექვემდებარა. მაგრამ, როდესაც ორლანდოელებმა ხელები მოისრისეს, ჩვენი დროც დადგაო, სწორედ მაშინ გამოიღეს ხელი ჯორდანის ყმაწვილმა თანამდგომებმა. თავად მაიკლმა შეტევათა ორგანიზებას მიჰყო ხელი და ახალგაზრდა ლარი ჰიუზთან მონაცვლეობით პასებს არ უგვიანებდა მაღალ თანაგუნდელებს — ვეტერან კრისტიან ლეიტნერს და ჯეელ ბიჭებს — ბრენდან ჰეივუდს და კვეიმ ბრაუნს (9 ქულა). ამათ აშკარად აჯობეს სქელუა შონ კემპსა და გონიერ, თუმც სუსტ პეტ გარიტის

„ორლანდოს" ყოჩი ტრეისი მაკგრეიდი ბევრს წვალობდა და შეუთავდა. მისი მეთაურობით სტუმრებმა პირველი ტაიმის რამდენიმექულიანი ჩამორჩენა თითქმის გააბათილეს, მაგრამ ბოლო მეოთხედში ვაშინგტონელმა ახალგაზრდებმა ერთი მონაკვეთი 12:2 გაილალეს და ყველაფერიც აქ გადაწყდა. რაც შეეხება ჯორდანს, მან შეხვედრა 32 ქულით დაასრულა. მართალია, აქედან მხოლოდ 4 ქულა გააკეთა მეორე ნახევარში, მაგრამ მან მოიგო, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ.

ქებათაქება მეორე ბებერს, ჯორდანის მეგობარსა და მტერს კარლ მელოუნსაც. 39 წლის იუტელმაც გამოიჩინა იმ დღეს თავი, „სიეტლ სუპერსონიქსს" 34 ქულა ჩაუგდო და „იუტა ჯაზს", რომელიც მელოუნთან ერთად სეზონის დაწყებამდე ბევრმა ჩამოწერა, მორიგი გამარჯვება ჩაუწერა. ბარაქალა მას.

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 27 | 11 | 71,1 |
| ბოსტონი | 21 | 17 | 55,3 |
| ფილადელფია | 22 | 18 | 52,6 |
| ვაშინგტონი | 20 | 19 | 51,3 |
| ორლანდო | 20 | 21 | 48,8 |
| ნიუ იორკი | 14 | 22 | 38,9 |
| მაიამი | 13 | 26 | 33,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 28 | 10 | 73,7 |
| დეტროიტი | 25 | 12 | 67,6 |
| ნიუ ორლეანი | 20 | 20 | 50,0 |
| მილუოკი | 18 | 20 | 47,4 |
| ატლანტა | 14 | 24 | 36,8 |
| ჩიკაგო | 14 | 24 | 36,8 |
| ტორონტო | 10 | 29 | 25,6 |
| კლივლენდი | 8 | 32 | 20,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 31 | 6 | 83,8 |
| სან ანტონიო | 24 | 14 | 63,2 |
| იუტა | 23 | 15 | 60,5 |
| ჰიუსტონი | 22 | 15 | 59,5 |
| მინესოტა | 21 | 17 | 55,3 |
| მემფისი | 12 | 26 | 31,6 |
| დენვერი | 9 | 29 | 23,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 29 | 10 | 74,4 |
| პორტლენდი | 23 | 14 | 62,2 |
| ფინიქსი | 24 | 16 | 60,0 |
| ლეიკერსი | 18 | 20 | 47,4 |
| სიეტლი | 16 | 21 | 43,2 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 22 | 42,1 |
| კლიპერსი | 14 | 24 | 36,8 |

# ეეეჰ! ცქიტიშვილი ახალბედების ოლ სტარს არ მიაკარეს

დღე დღეს მისდევს, ახლოვდება დიდი ზავის პერიოდი, ხანი, როცა მუდამ მშფოთვარე ნბა ამოსასუნთქად რამდენიმე დღით ჩაიმუხლებს — 8-9 თებერვლის შოუ უიკენდი „ოლ სტარი".

დიდ ვარსკვლავთა შერჩევა ჯერ არ დასრულებულა, ახალბედების გუნდები კი უკვე ცნობილია. კაცების „ოლ სტარის" მატჩამდე დღით ადრე, 8 თებერვალს, ერთმანეთს შეერკინებიან პირველწლიანთა (ახალბედათა) და მეორეწლიანთა ნაკრებები. თითოეულ გუნდში 9-9 მონაწილეა და, სხვათა შორის, ორივეში 3-3 უცხოელია.

აი გუნდებიც:

**ახალბედები:** იაო მინგი (ჰიუსტონი), გორდან გირიჩეკი, დრიუ გუდენი (ორივე მემფისი), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი), დეჯუან ვაგნერი, კარლოს ბუზერი (ორივე კლივლენდი), კერონ ბატლერი (მაიამი), ნენე ილარიო (დენვერი), ჯეი უილიამსი (ჩიკაგო)

**მეორეწლიანები:** პაუ გასოლი (მემფისი), ანდრეი კირილენკო (იუტა), ტონი პარკერი (სან ანტონიო), ტაისონ ჩანდლერი (ჩიკაგო), ჯამაალ ტინსლი (ინდიანა), რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი), ჯეისონ რიჩარდსონი, ჯილბერტ არენასი, ტროი მერფი (სამივე გოლდენ სტეიტი)

თავადაც ხედავთ, 9 რჩეულ ახალბედას შორის ადგილი არ გამოიძებნა „დენვერის" ქართველ ფორვარდ ნიკა ცქიტიშვილისთვის მაშინ, როდესაც იქ სულ იოლად მოხვდა მისი თანაგუნდელი და თანამედრავეტე ბრაზილიელი ნენე ილარიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავსტრალიის ღია პირველობა 2003

# ჰაეს?
# სომხებმა ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა შეიძინეს



REUTERS მელბურნიდან

სარგის სარგსიანი

# ქალებმა, რა თქმა უნდა, წაიჩორავეს
## მესამე წრე

**კაცები**

ანდრე აგასი (3, აშშ) — ნიკოლა ესკუდე (29, საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:3, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (28, საფრანგეთი) 4:6, 6:3, 4:6, 6:2, 7:5; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (8, ესპანეთი) 3:6, 6:3, 4:6, 6:1, 6:3; სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (24, ეკვადორი) 6:1, 6:3, 6:3; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 5:7, 7:5, 6:0, 6:4; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — პიტერ ლუზაკი (ავსტრალია) 2:6, 7:6 (7:2), 6:4, 6:2; უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — მარდი ფიში (აშშ) 2:6, 3:6, 6:1, 6:4, 6:0; გილერმო კორია (არგენტინა) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7:5, 6:2, 6:2

**ქალები**

ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:1, 6:4; ჟუსტინ ენენ-არდენი (5, ბელგია) — კატარინა სრებოტნიკი (32, სლოვენია) 6:2, 6:0; დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) — სამანტა სტოზური (ავსტრალია) 6:4, 6:2; ლინდსი დევენპორტი (9, აშშ) — ტატიანა პანოვა (24, რუსეთი) 6:2, 6:1; პატი შნიდერი (12, შვეიცარია) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:2, 4:6, 6:3; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — პაოლა სუარესი (23, არგენტინა) 7:5, 6:4; დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:3, 6:2; ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:1, 4:6, 6:4

### ანდრეს გამოცდა

თვისტომ ბრაინ ვაალისა და სამხრეთკორეელ ჰიუნგ-ტაიკ ლის სეტისწაუგებლად გაბუნძურების შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობის სამგზის გამარჯვებულ ანდრე აგასის გუშინ პირველად მოუხდა, საშველად ათასი კორტზე შეძენილი სიბრძნისა და დახვეწილი ოსტატობისთვის მიემართა. 32 წლის ჯალი ამერიკელს გამოცდა 29-ე ნომრად განთესილმა პარხმელმა ფრანგმა, ნიკოლა ესკუდემ მოუწყო, ვისაც მასთან აქამდე ხუთჯერ ეთამაშა და გამარჯვებას მხოლოდ ერთხელ გამორჩენოდა.

ესკუდე გუშინ რისკიანად, აგრესიულად გაირჯა და ერთ მომენტში ისე ჩანდა, რომ მისი და დიდი ჩემპიონის მეექვსე პირადი შეხვდის ბედს გადამწყვეტი სეტი გაარკვევდა. ამგვარი შთაბეჭდილება მაყურებელს მაშინ შეექმნა, როცა ფრანგი მეოთხეში 3:1 დაწინაურდა. თუმცა როგორც მერე გაირკვა, ეს ილუზორული ნაადრევი შთაბეჭდილება ყოფილა.

შებერებული დიალმჩოვნე კი თითქოს ვითარების გართულებას ელოდა. ის მყისიერულად აიჯაგრა, მეტოქის კორტისკენ მისთვის ჩვეულ ბასრ დარტყმებს უხშირა და წაგებული გეიმი უმალვე უკუიგო (2:3). მერე კი ანგარიში შეათანაბრა (3:3), მეცხრე გეიმში მეტოქეს კიდევ ერთი მოწოდება აართვა (5:4) და თავისაზე შეხვედრაც მოიმთავრა.

აგასი: „ნიკოლამ დღეს საუცხოოდ ითამაშა და მაგარ წნეხშიც მომაქცია. ეგ ის ბიჭი არ არის, რომელთან შეხვედრებიც სიამოვნებით გაგონდება. იგი ძალიან სახიფათოა — შეუძლია, თვითონვე განსაზღვროს საკუთარი ბედისწერა. მაგრამ რაკიღა რისკიანობს და მძლავრ, ბეწვის ხიდზე გამავალ ბურთებს აჟუმბარებს, ხშირადაც ცდება. როცა ხმალს იღებ, ხმლისგანვე იღუპები... მე კი სხვა არაფერი დამრჩენოდა, ან მის დონეზე უნდა მეთამაშა ან უფრო მაღალზე. კარგი დარტყმები აქაიქ მეც გამომივიდა. ძალიან მიხარია, რომ ასეთი მედგარი წინააღმდეგობა ასე კაცურად გადავლახე“.

შეგახსენებთ, რომ აგასის მელბურნში 1995, 2000 და 2001 წლებში გაჰმარჯვებია. მას შანსი აქვს, გახდეს პირველი არაავსტრალიელი, ვინაც იქაურ სლემტიტულს მეოთხედ მიითვლის. საკუთრივ ოზთაგან ოთხჯერ ან მეტჯერ ეს ტურნირი როი ემერსონს (1961, 1963-67), ჯეკ კროუფორდს (1931-33, 1935) და კენ როზუელს (1953, 1955, 1971-72) მოუგიათ.

მომდევნო შეხვედრას აგასი გილერმო კორიასთან — ჯერ თვისტომსეხნია კანიასის, მერე კი ფინელი ნიემინენის მძლეველ გაუჩოსთან გამართავს.

### ვინუსი და პრატი

უფროსმა შავდამ თავის 29-ე საკარიერო ტიტულისკენ მიმავალ გზაზე გუშინ წოწოლა გერმანელი ანკა ბარნა გააიმასქნა. ეს გაიმასქნება უფრო სოლიდურად პირველ სეტში გამოიყურებოდა, მეორე კი ვინუსმა შეცდომებით დაიწყო და სანამ მატჩის გაქცეულ სადავეებს უკან დაქაჩავდა, სამი გეიმით (1:4) ჩამორჩა. ბარნამ ვინუსის გაცვენილი გეიმები ვერ შეიშნოვა და მასვე გაატანა.

ვინუსი: „ყოველი მომდევნო მატჩის შემდეგ თავს უკეთესად ვგრძნობ. სერენასაც და მეც გვჯერა, რომ თამაშს მაშინვე მოვუმატებთ, როგორც კი ამის საჭიროება გვექნება. ეს ადრეც დაგვიმტკიცებია და, ალბათ ამ ტურნირზეც დავამტკიცებთ. შარშანდელი სეზონი ჩემთვის მძიმე იყო — მენტალურადაც და ფიზიკურადაც ძალზედ დაღლილი ვიყავი. იმედი მაქვს, რომ წლეულს დაკარგულ პოზიციებს დავიბრუნებ. ახლა ჯანზე ვარ და ჩოგნაობას ჩემთვის ისევ სიამოვნება მოაქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვიგებ“.

მომავალ წრეში ვინუსი 29 წლის ავსტრალიელ ნიკოლ პრატს შეხვდება. პრატმა გუშინ 23-ე ნომრად განთესილ არგენტინელ პაოლა სუარესს სძლია და უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში პირველი იქაური მდედრი შეიქნა, ვინაც მშობლიური ღია პირველობის მეოთხე წრემდე მიაღწია.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ სახელოვანი ივონ გულაგონგის შემდეგ (1980 წელი, უიმბლდონი) არც ერთ ავსტრალიელ ქალს სლემტიტული აღარ რგებია. თავად პრატი კი დღემდე ერთ ქეციან ტურნირზეც ვერ გალაღებულა და სასლემო მერვედფინალშიც ახლა პირველად ითამაშებს.

### კოსტა და კოლო

ესპანურმა არმადამ მეორე „ტიტულმზიდიც“ დაკარგა — პირველ წრეში ოტებულ ალექს კორეჩასა (15) და მეორიდან გაძევებულ კარლოს მოიას (5) გუშინ მე-8 ნომრად განთესილი, შარშანდელი როლან გაროსის მაოხარი ალბერტ კოსტაც მიაყოლეს. ამის გაკეთება ესპანელმავე, ფელიქს მანტიამ იკისრა. ერთადერთი გუშინდელი სენსაციაც სწორედ ეს გახლდათ. არადა, მათი წინა 9 შეხვედრიდან კოსტას მხოლოდ ორში წაეგო.

ოდინდელი ზემათეულე, ხოლო ამჟამად კლასიფიკაციის 73-ე ადგილზე დამკვიდრებული მანტია მომდევნო წრეში ფრანგ სებასტიან გროჟანს (12) — ტურნირს შერჩენილ ერთადერთ ფრანგს გაეღავება.

რაც შეეხება ფრანგთა კიდევ ერთ იმედს, 28-ე ნომრად განთესილ ფაბრის სანტოროს, ის ცივსისხლიან კონკისტადორს, კოლოდ წოდებულ ხუან კარლოს ფერეროს (4) ემსხვერპლა.

მანტია — კოსტას შეხლის დარად, ფერეროსა და სანტოროს მატჩიც ხუთსეტიანი გამოდგა, მაგრამ კოსტასგან განსხვავებით, ფერერომ პირველი და მესამე სეტები დათმო და თავიდან ოდენ მდევრის როლს ასრულებდა. ხოლო როცა დაეწია, სანტოროს — მონდომებისა და ბადესთან საუცხოო გარჯის მიუხედავად — ფიორა შანსიც აღარ ჰ ქონდა.

ისიც სათქმელია, რომ შეხვედრამ საამსაათნახევარს გასტანა და მთელი ამ ხნის განმავლობაში 22 წლის ესპანელს საზარდულის ყრუ, გაუნელებელი ტკივილი აწუხებდა.

ფერერო: „მეხუთე სეტში დაუჯერებლად ვაწოდებდი. გამარჯვების გასაღებიც ალბათ სწორედ ეგ იყო. მე ყველა ჩემი გეიმი მოვიგე, მის გეიმებში კი მუდამ ომი იმართებოდა“.

მომდევნო მატჩს მეუკანახაზე ფერერო 18 წლის „მოაწოდე-მიეძალე“ ხორვატ მარიო ანჩიჩთან გამართავს. „მასთან არასოდეს მითამაშია — ამბობს კოლო — ის დიდებულად აწოდებს, მუდამ ბადესთან გაჭრას ცდილობს და უკანახაზიდანაც უშეცდომოდ თამაშობს. მოკლედ, საინტერესო მატჩი გველის“.

შეგახსენებთ, რომ ესპანელებს ავსტრალიის ღია პირველობაზე არასოდეს გაუმარჯვიათ.



REUTERS მელბურნიდან

ლინდსი დევენპორტი

### ბობოლქალები

2000 წლის ჩემპიონმა ლინდსი დევენპორტმა (9) და ციდა ბელგიელმა ჟუსტინ ენენ-არდენმა (5) თავ-თავიანთი მატჩები გუშინ ციმციმ მოათავეს.

მეოთხე წრეში ლინდსი და ჟუსტინი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და წრის „ცენტრალური“ მატჩიც სწორედ ეგ იქნება. მათი აქამომდელი ხუთი შეხლიდან სამგზის მესლემტიტულე ზორბა ამერიკელს ტანმომცრო ევროპელი ხუთჯერვე უძლევია. ბოლოჯერ მათ ოქტომბერში, ციურიხში იჩოგნავეს. ფიცხელი, ორტაიბრეიკიანი მატჩისას ფეხატკივებულ ლინდსის რამდენჯერმე ექიმის დახმარება დასჭირდა, რამაც ენენის გაღიზიანება გამოიწვია.

დევენპორტი: „მან თქვა, რომ მე მოვიგონე ტრავმა, რათა თამაში გამეჭიანურებინა. ამაზე ბევრი ვიცინე. ფეხი მართლაც მაგრად მტკიოდა და მას რომ უბრალოდ ცუდად არ ეთამაშა, წესით უნდა მომრეოდა კიდეც. დროის გაყვანა აქ არაფერ შუაშია... რაც შეეხება იმას, რომ მე ის პიროვნულად არ მომწონს, ეს არ არის მართალი. კორტსგარე ჩვენ საერთოდაც არ ვურთიერთობთ... იცით რა, ის ძალიან ნერვიულობს ხოლმე, რაც არც საჭიროა და არც მომგებიანი. ასეა თუ ისე, იმით, რომ მეოთხე წრეშივე უნდა შევხვდეთ, მგონი ის უფრო უკმაყოფილო უნდა იყოს“.

ენენ-არდენი: „ციურიხი აქედან ძალიან შორსაა. ეს სხვა თამაში იქნება და იმედი მაქვს, სრულიად განსხვავებული მაშინდელისგან. ბოლოს და ბოლოს, ოდესმე ხომ უნდა მოვუგო“.

### და კიდევ

ანდრე აგასის „ისტორიულმა თვისტომმა“ და სპარინგმაკაცმა სარგის სარგსიანმა მარკ ფილიპუსისის საამპირველობო ამბიციები მესამე წრეზე დააყაბულა. ვეება „სკადმა“ ვერაფერი გააწყო უშიშრად, ჯიქურ მოპაექრე სომხის წინაალმდეგ, ვისაც ანდრე აგასისთან თანავარჯიშობის შედეგად მოწოდების საპასუხოდ ისეთი კონტრდარტყმები დაუმულამებია, რომ სახელოვანი მეეისის ყუმბარგლაჯუნს თამაშზე არავითარი კვალი არ დაამჩნევინა.

გაუტეხლად ითამაშა და ორი წაგებული სეტის შემდეგ სამის უკუგება მოახერხა 31 წლის სამხრეთაფრიკელმა უეინ ფერეირამ. შარშანდელმა მეოთხედფინალისტმა თავისზე ათი წლით უმცროს მარდის ფიშს აჯობა. ფიშმა, ვინაც წინა წრიდან მოია დაითხოვა, მხურვალე მელბურნულ მზეს ვეღარ გაუძლო და მატჩის მიწურულს ზედიზედ თერთმეტი გეიმი ჩააფლავა — მეოთხე სეტში ის 4:1 იგებდა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მელბურნიდან

ალბერტ კოსტა

# ჩემი ბიჭი, ჩემი გოგო

## მსოფლიო რაგბი საუკეთესო დედალ-მამალს აარჩევს

*რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) ყოველწლიურ დაჯილდოებათა ცერემონიალს 26 იანვარს ლონდონში გამართავს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიწვეული 300-მდე სტუმარი „ლენდმარკ ოტელში" შეიკრიბება და, როგორც ამბობენ, გრანდიოზულ შოუს იხილავს*



ფაბიენ გალტიე

**შეკრების** მთავარი მიზეზი 2002 წლის საუკეთესოთა გამოცხადებაა. IRB-ის ათკაციანი საბჭო უელსელი ჯერალდ დევისის მეთაურობით გასული წლის საუკეთესო ნაკრებს, მწვრთნელსა და მორაგბეს გამოავლენს. არის კიდევ ნაკლებმნიშვნელოვანი ნომინაციები: საუკეთესო ახალგაზრდა, ჭაბუკი და ქალი მორაგბე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი, გუნდის მენეჯერი, პრიზი სამართლიანი თამაშისთვის.

საბჭო ჯერჯერობით არ ახმაურებს საუკეთესო გუნდობისა და მწვრთნელობის კანდიდატებს. მათი ვინაობა ამ დღეებში გახდება ცნობილი. სამაგიეროდ, ჟიურიმ გამოამზეურა სია, საიდანაც შეირჩევა 2002 წლის საუკეთესო მორაგბე: ფაბიენ გალტიე (საფრანგეთი), ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია), რიჩარდ მაკკოუ (ახალი ზელანდია), ჯო ვან ნიკერკი (სამხრეთ აფრიკა) და ჯეისონ რობინსონი (ინგლისი).

საგულისხმოა, რომ IRB-ის რჩეულ ხუთეულში ვერ მოხვდნენ შარშან ბრწყინვალე თამაშით გამორჩეულნი, ინგლისელები — ჯონი უილკინსონი და წლის ლელოს გამტანი ბენ კოენი; ასევე ახალზელანდიელი მელელოვე დაგ ჰაულეტი, რომელიც შარშან ყველა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და „ოლ ბლექსში" ჩატარებულ 24 მატჩში 17 ლელო გაიტანა.

IRB-ის ხუთეულიდან მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ გახდომის ყველაზე მეტი შანსი ალბათ ფრანგ ფაბიენ გალტიეს აქვს. ამ ჩია შერკინების გამთამაშებელმა „მამლებთან" ერთად ექვსი ერი მოიგო, არც ტესტ-მატჩებში შეურცხვენია თავი და სამშობლოშიც საუკეთესოდ აღიარეს.

დანარჩენი ნომინანტები არიან:

საუკეთესო ახალგაზრდა (21 წლამდე) მორაგბე: პეტ ბერნარი (სამხრეთ აფრიკა), კლაიდ რეძბოუნი (სამხრეთ აფრიკა) და სემ ტუიტუპო (ახალი ზელანდია).

საუკეთესო ჭაბუკი (19 წლამდე) მორაგბე: ლიუკ მაკალისტერი (ახალი ზელანდია), ბენ ანტიგა (ახალი ზელანდია) და ტობი მორლანი (ახალი ზელანდია).

საუკეთესო ქალი მორაგბე: მონიკა ჰიროვანა (ახალი ზელანდია), ნატალი ამილი (საფრანგეთი) და შერილ ვაკა (ახალი ზელანდია).

# ამერიკამ ინგლისს ფეხები მაგიდაზე შეუწყო

**აქამდე** ასე იყო: თუ ვინმეს აუცრუვდებოდა გული ტრადიციულ 15-კაცა რაგბიზე, მის უძლებ ნაშიერ 13-კაცა რაგბში (ლიგა) გადავიდოდა, რაკი ეს სახეობა 15 კაცაზე ადრე გაპროფესიულდა და იქ ფულიც მეტი ტრიალებდა.

მერე 15-კაცაც გაპროფესიულდა და მორაგბეებმა უკულინება იწყეს. თითქოს რაგბის ამ ტრადიციულმა სახეობამ კონკურენტებს საბოლოოდ შეუწყვიტა ჟანგბადი და ოვალური ბურთის მდევარ ყველა ვარსკვლავს მოუყარა თავი, მაგრამ 15-კაცას ახალი წურბელა მიეტმასნა — ოვალური ბურთით, ოღონდ სხვა ყაიდაზე მოთამაშეთა ლიგა. ლაპარაკია მის უდიდებულესობა აშშ-ს ეროვნულ საფეხბურთო ლიგაზე (NFL), რომელიც ყველანაირ ღონეს ხმარობს, რათა რაგბის ვარსკვლავები მოსტაცოს.

ხსენებულ ლიგას კაი მადაც ჰქონია, რაკი ახლახან არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისის ნაკრების ზემოიერიშეს, ბენ კოენს მიადგა და თავისკენ ეწევა. დიდია ცდუნება. მართალია, ფინანსურ მხარეს არ ახმაურებენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ოკეანგაღმა კოენს კლუბები ერთ სეზონში იმდენს შეაძლევენ, რამდენსაც რაგბიში ხუთი წლის მანძილზე ვერ დააგროვებს.

„კოენის მონაცემების პატრონი ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი გახდება. მისი გამოყენება უკანა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე შეიძლება, ვერაფერს იტყვი, ისეთი მასალაა, ხელის შევლებაც არ სჭირდება" — თქვა NFL-ის სელექციონერმა ტონი ალენმა და იქვე დასძინა, რომ თუ მორაგბის გადაბირება წლეულს ვერ შეძლო, გაისად ამას უეჭველად გააკეთებს.

1,88-სანტიმეტრიანი და 100-კილოგრამიანი კოენი, რომელსაც ღმერთმა მძლავრ აგებულებასთან ერთად სპრინტერული მონაცემებიც უხვად უბოძა, ჯერ არც ჰოს ამბობს და არც არას. კოენი: „ჩემი უახლოესი გეგმები? წლეულს რაც შეიძლება, მეტი ტიტული მოვიგო ჩემს კლუბ „ნორთჰემპტონთან" ერთად და ინგლისის ნაკრებში ექვსი ერის და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე. მერე რა მოხდება, კაცმა არ იცის. იქნებ წავიდე კიდეც ამერიკაში. ბოლოს და ბოლოს დიდ ფულს მთავაზობენ და სისულელე იქნება, დაუფიქრებლად ვსტკიცო უარი".

24 წლის კოენს 21 სანაკრებო მატჩში 19 ლელო აქვს გატანილი და ავსტრალიაში გასამართ მსოფლიოს თასზე თავისიანთა ერთ-ერთი მთავარი იმედია. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ბენი 1966 წელს საფეხბურთო ჩემპიონატის მომგები ინგლისის ნაკრების მცველის, ჯორჯ კოენის ძმისშვილია.

**ბაჩო სვანიძე**



ძია სემი ინგლისელთა სუპერვარსკვლავ ბენ კოენს ეპოტინება



## რეგულარული ჩემპიონატი

16 იანვარი

**კოლორადო 2:4 დეტროიტი** *0:1 1:1 1:2*

0:1 დრეიპერი (5), 0:2 დანდენო (22), 1:2 ფორსბერგი (35), 2:2 პინოტი (45), 2:3 შენაჰანი (53), 2:4 შენაჰანი (59)

დეტროიტი კვლავაც ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომელიც ზედიზედ ორჯერ არ დამარცხებულა. თან ჩემპიონს ამჯერად განსაკუთრებული სტიმული ჰქონდა — წინა მატჩში ჩიკაგოსთან დაუმსახურებლად წააგო და ძალიან განაწყენდა. ჰოდა, გაჯავრებულ დეტროიტს კოლორადო ჩაუვარდა ხელში და...

**სან ხოსე 2:2 ბუფალო** *0:0 0:0 2:2 0:0*

0:1 პატრიკი (41), 1:1 ჩიჩუ (43), 2:1 მარლო (45), 2:2 გრეტონი (51)

**ედმონტონი 2:0 ლოს ანჯელესი** *1:0 0:0 1:0*

1:0 ჰორკოფი (16), 2:0 რ. სმიტი (50)

**ფილადელფია 4:1 მონრეალი** *0:1 1:0 3:0*

0:1 ზედნიკი (11), 1:1 ვანდერმეერი (35), 2:1 საკო (44), 3:1 ჰანდზუში (56), 4:1 ტერიენი (60)

ყველას თავისი გზა აქვს. ვეტერანმა ჯო საკომ ეს-ესაა მოაწერა ხელი კონტრაქტს ფილადელფიასთან, ჯიმ ვანდერმეერი კი ფარმკლუბიდან გამოიძახეს. ორივე მატჩის წინა დღეს აღმოჩნდა „მფრინავთა" რიგებში, ორივემ პირველივე თამაშში გაიტანა და ორივე მატჩის გმირი გახდა.

**ოტავა 3:1 ანაჰაიმი** *1:0 0:0 2:1*

1:0 ჰოსა (16), 2:0 ჰოსა (45), 2:1 ჩისტოვი (55), 3:1 ალფრედსონი (60)

ოტავას ლიდერმა მარიან ჰოსამ ორი შაიბა შეაგდო და თითქმის გაუტოლდა ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეს, ვანკუვერის კაპიტან მარკუს ნესლუნდს. ახლა მათ კინკილა შაიბაღა (შესაბამისად, 30 და 31) აშორებთ.

# დეტროიტმა კოლორადო ხოჭოსავით გასრისა

**სენტ ლუისი 2:3 აილენდერსი** *0:1 1:1 1:0 0:1*

0:1 იაშინი (6), 0:2 კ. იუნსონი (28), 1:2 სტილმანი (33), 2:2 დემიტრა (57), 2:3 კვაშა (62)

**მინესოტა 5:2 ვანკუვერი** *2:1 1:0 2:1*

1:0 პარკი (2), 2:0 დიუპუი (17), 2:1 ლეტოვსკი (19), 3:1 სტივენსონი (25), 3:2 კლეტი (42), 4:2 დიუპუი (52), 5:2 გაბორიკი (58)

მინესოტას მოგებამ კიდევ უფრო დახლართა ვითარება ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში. მატჩის მსვლელობისთანავე გაირკვა, რომ მინესოტას ლიდერი მარიან გაბორიკი უკვე მიიწვიეს „ოლ სტარის" თამაშზე. გახარებულმა სლოვაკმა ჩინებულად იასპარეზა და 4(1+3) ქულით მოგების მთავარი შემოქმედი გახდა.

**კალგარი 2:2 ნეშვილი** *0:0 1:1 1:1 0:0*

0:1 ორზაგი (34), 1:1 ბუზეკი (36), 1:2 ჰოლი (45), 2:2 იგინლა (45)

ეგებ „ოლ სტარში" მიწვევამ გამოაფხიზლოს ჯერომ იგინლა? კალგარის ლიდერი ხომ წლეულს შარშანდელის აჩრდილია. 41 თამაშში 14 გოლი გასული სეზონის უძვირფასესისთვის რა შედეგია. ამიტომაც მისი არჩევა ზოგს ერთობ გაუკვირდა, თუმცა ამჯერად იგი ძალიან აქტიური იყო და ჩინებული გოლიც გაიტანა.



REUTERS სურ.

ვანკუვერელი ბრენტ სოპელი (მარცხნივ) მინესოტელი რიჩარდ პარკის ბორტზე მისრესვას აპირებდა, თავად კი შეასკდა...

# ALL STAR GAME

## ვარსკვლავი ვარსკვლავს დაეჯახება

NHL All Star Game

**ფლორიდის** წამყვან ფორვარდ ოლი იოკინენს კი ეგონა, რომ „ოლ სტარში" თამაში არ ასცდებოდა, მაგრამ აღმოსავლეთის ნაკრების თავკაცებმა მისი აზრი აინუნშიც არ ჩააგდეს. ასე რომ, „ოლ სტარში", რომელიც 2 თებერვალს ფლორიდაში გაიმართება, მასპინძელთაგან მხოლოდ მცველი სანდის ოზოლინში იქნება. იგი სასტარტო ექვსეულში მოხვდა. 16 იანვარს გუნდების მწვრთნელებმა „ოლ სტარის" დანარჩენ მონაწილეთა სია გამოაქვეყნეს, აღმოსავლეთის მხოლოდ სამ გუნდს ერგო ორორი ჰოკეისტის წარდგენის პატივი — ბოსტონს, ოტავასა და ნიუ ჯერსის. „დათვებს" ფორვარდები — ჯო ტორნტონი და გლენ მიურეი წარადგენენ, გაკოტრებულ, მაგრამ დიდებულად მოასპარეზე „სენატორებს" მეგოლე მარიან ჰოსა და აყლაყუდა, 205 სანტიმეტრიანი მცველი, ზდენო ხარა, ხოლო ნიუ ჯერსის — უბერებელი სკოტ სტივენსი და მეკარე მარტინ ბროდო.

**აღმოსავლეთის გუნდი**

**მეკარეები: ნიკოლაი ხაბიბულინი** (ტამპა), ედ ბელფორი (ტორონტო), მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი)

**მცველები: ბრაიან ლიჩი** (რეინჯერსი), **სანდის ოზოლინში** (ფლორიდა), ზდენო ხარა (ოტავა), სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი), რომან ჰამრლიკი (აილენდერსი), სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი)

**ცენტრფორვარდები: მარიო ლემიე** (პიტსბურგი), საკუ კოივუ (მონრეალი), ჯერემი რენიკი (ფილადელფია), ჯო ტორნტონი (ბოსტონი), მატს სუნდინი (ტორონტო).

**გარემარბები: იარომირ იაგრი** (ვაშინგტონი), **ალექსეი კოვალიოვი** (პიტსბურგი), მარიან ჰოსა (ოტავა), დანი ჰიტლი (ატლანტა), გლენ მიურეი (ბოსტონი), ჯეფ ონილი (კაროლინა), მარტენ სან ლუი (ტამპა)

შეგახსენებთ, რომ გამოყოფილი მოთამაშეები ტრადიციული ხმის მიცემის პროცედურით შეირჩნენ.

დასავლეთის კონფერენციაში კი ერთი გუნდის, ვანკუვერის, ერთბაშად სამ მოთამაშეს იხილავთ სიაში. მის ღირსებას ფლორიდაში დაიცავენ: ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი მარკუს ნესლუნდი, მისი მუდმივი პარტნიორი ტოდ ბერტუცი და მცველი ედ ჟოვანოვსკი. წლეულს სამივე ჩინებულად ასპარეზობს და დასავლეთის თავკაცის, ასევე ვანკუვერელი მარკ კროუფორდის პროტექციით როდი აირჩიეს. აღსანიშნავია ასევე სიაში დალასელი მეკარის მარტი ტურკოს შეყვანა. ედ ბელფორის წასვლის შემდეგ პირველ გოლკიპერად ქცეული ტურკო გუნდის ნამდვილი საყრდენი და სეზონის ერთადერთი აღმოჩენაა. ისე, არც ბელფორი დაიკარგა ტორონტოში, რაზეც აღმოსავლელთა სიაც მეტყველებს.

**დასავლეთის გუნდი**

**მეკარეები: პატრიკ რუა** (კოლორადო), მარტი ტურკო (დალასი), ჟოსლენ ტიბო (ჩიკაგო)

**მცველები: ნიკლას ლიდსტრიომი** (დეტროიტი), **რობ ბლეიკი** (კოლორადო), ერიკ ბრიუერი (ედმონტონი), ედ ჟოვანოვსკი (ვანკუვერი), ელ მაკინისი (სენტ ლუისი), მეტიუ შნაიდერი (ლოს ანჯელესი)

**ცენტრფორვარდები: მაიკ მოდანო** (დალასი), პეტერ ფორსბერგი (კოლორადო), სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი), დუგ უეიტი (სენტ ლუისი).

**გარემარბები: ბილ გერინი** (დალასი), **ტეემუ სელიანე** (სან ხოსე), ტოდ ბერტუცი (ვანკუვერი), მარიან გაბორიკი (მინესოტა), ჯერომ იგინლა (კალგარი), პოლ კარია (ანაჰაიმი), მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი), რეი უიტნი (კოლუმბუსი).

აღმოსავლეთის სასტარტო ექვსეულში არჩეული ბრაიან ლიჩი მძიმედ არის დაშავებული და მისი მონაწილეობა საეჭვოა. ასე რომ, ცვლილებები მოსალოდნელია და ეგებ იოკინენსაც გაუღიმოს ბედმა.

**სამველ ლარიბიანი**



ოტავას აყლაყუდა, კალათბურთელისხელა მცველი ზდენო ხარა (მარჯვნივ) ჰოკეის ჩინებულად თამაშობს

# მონიკას სტკივა

ეჰ, სამწუხაროდ, მონიკა სელეშის დრომაც ჩაიქროლა. ქალთა ჩოგბურთს ახლა სულ სხვა ფერისა და ზნის დედოფლები ჰყავს. მელბურნის კორტზე დაშავებული მონიკა კი, აბა, როდისღა დაიბრუნებს უძლიერესის გვირგვინს.



REUTERS მელბურნიდან



REUTERS დალასიდან

# მხოლოდ მესამე

გახურდა ამერიკის ეროვნული ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. დალასის „აირ ლაინ სენთერში", ცხადია, ელოდნენ ოლიმპიური ჩემპიონის, სარა ჰიუზის გამოსვლას. ჰიუზმა კარგად იცეკვა, ოღონდ კი მოკლე პროგრამაში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.



REUTERS მელბურნიდან

# ძიუ და ჯესი ჯეიმსი

დღეს მელბურნში დიდი კრივია: რუს-ავსტრალიელ-კორეელი ჩემპიონი კოსტია ძიუ (მარცხნივ) ამერიკელ ჯესი ჯეიმს ლეიხას მასპინძლობს და ვინძლო, დაამარცხოს კიდეც.

# მთებში დასვენებულნი



REUTERS მადონა დი კამპილიოდან

ზამთარია და „ფერარის" მეფორმულეთა გუნდმაც მიაშურა მისთვის ჩვეულ დასასვენებელ ადგილს, იტალიის სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოს. მიხაელ შუმახერი და ლუკა ბადოერი ცოლებით არიან მთაში და თხილამურობის ნაირგვარი ხერხებით ერთობიან. მადონა კამპილიოშივე შუმახერმა განუცხადა იქ ასულ ჟურნალისტებს, რომ საფორმულე შეჯიბრებებისთვის დაგეგმილი რადიკალური ცვლილებები დიდად ვერ შეცვლის რბოლების არსს, ახალბედა მრბოლებს კი ხელს შეუშლის.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოცხაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge